საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 192 (720) ხუთშაბათი, 2 სექტემბერი, 1993 წელი ფასი 25 კუპონი

მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურის შესახებ

პარლამენტის თავმჯდომარის - სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე, 1993 წლის 29 აგვისტოს

ბატონო პარლამენტარებო!

როგორც შევთანხმდით, პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, დღეს მე წარმოგიდგენთ მოსაზრებებს მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურის შესახებ. შეიძლებოდა ასეთი ინფორმაციით გამოსულიყო პრემიერ-მინისტრი ბატონი ო. ფაცაცია, მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი დავალება მე მომცა პარლამენტმა და, მეორეც, ბატონ ოთარს ცოტა დრო კიდევ სჭირდება იმისათვის, რომ ამ პრობლემებში, მართვის სტრუქტურებში, მთავრობის საქმეებში უფრო ღრმად ჩაიხედოს. შემდგომში მას ექნება საშუალება, ყველაფერზე, რაც დაკავშირებული არის მინისტრთა კაბინეტთან, თავისი მოსაზრებები წარუდგინოს პარლამენტს და ხალხს.

ხელისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე წარმოგიდგენთ მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურის პროექტს, რომელიც სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის შეთანხმებულ პოზიციას გამოხატავს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მინისტრთა კაბინეტის შემდეგი სტრუქტურა: 16 სამინისტრო, 3 კომიტეტი, 19 დეპარტამენტი, 2 ინსპექცია, 3 კორპორაცია, 1 კონცერნი.

ბუნებრივია, მათ სათავეში უდგათ პრემიერ-მინისტრი და ვიცე-პრემიერები.

ახალ მინისტრთა კაბინეტში 19 სამინისტროს ნაცვლად — 16 სამინისტროა, 10 კომიტეტის ნაცვლად — 3 კომიტეტი, შემცირებულია სხვა ზოგიერთი სტრუქტურული ქვედანაყოფებიც, თუმცა გაიზარდა დეპარტამენტების რაოდენობაც და მნიშვნელობაც.

სამინისტროების, კომიტეტების, სხვა სტრუქტურების რიცხვი შემცირდა ცალკეულ პარლამენტართა, სახელმწიფო მოხელეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა აზრისა და სახელმწიფოს მართვის სრულყოფის ინტერესების გათვალისწინებით.

ჩემი აზრით შემცირება ლოგიკურია და დასაბუთებული; და მაინც მთავარია არა იმდენად რაოდენობრივი, რამდენადაც თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც უნდა განიცადოს მინისტრთა კაბინეტმა და საერთოდ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ.

I. **ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში გათვალისწინებულია შემდეგი სამინისტროები:** 1. ეკონომიკის სამინისტრო; 2. ფინანსთა სამინისტრო; 3. მრეწველობის სამინისტრო; 4. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო; 5. სახელმწიფო ქონების სამინისტრო; 6. ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო; 7. კავშირგაბმულობის სამინისტრო; 8. შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 9. გარემოს დაცვის სამინისტრო; 10. საგარეო საქმეთა სამინისტრო; 11. შინაგან საქმეთა სამინისტრო; 12. თავდაცვის სამინისტრო; 13. იუსტიციის სამინისტრო; 14. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; 15. განათლების სამინისტრო; 16. კულტურის სამინისტრო.

II. **კომიტეტები:** 1. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი; 2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტი; 3. ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი.

III. **დეპარტამენტები:** 1. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი; 2. გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი; 3. მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი; 4. მშენებლობის დეპარტამენტი; 5. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი; 6. დეპარტამენტი „საქენერგო"; 7. დეპარტამენტი „საქნავთობი"; 8. დეპარტამენტი „საქნახშირი"; 9. დეპარტამენტი „საქგაზი"; 10. სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტი; 11. საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი; 12. საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტი; 13. საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი; 14. სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტი; 15. მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტი; 16. არქიტექტურის საქმეთა დეპარტამენტი; 17. საბაჟო დეპარტამენტი; 18. ტურიზმის დეპარტამენტი; 19. სპორტის დეპარტამენტი.

ამ ბოლო დღეებში ახალგაზრდების ერთი ჯგუფის ინიციატივით, საკმაოდ აქტიურად იხილება საკითხი ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

თუ პარლამენტის პრინციპული მხარდაჭერა იქნება, მე ვფიქრობ, რომ მიზანშეწონილია ასეთი დეპარტამენტის შექმნა.

ახალგაზრდობის პრობლემები მოითხოვს საერთო კოორდინაციას, საერთო ყურადღებას და შეიძლება ამაზე სერიოზული მსჯელობა. მე ვგრძნობ, რომ პარლამენტართა გარკვეული ნაწილი მხარს უჭერს ამ წინადადებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს დეპარტამენტიც მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურათა სქემაში გათვალისწინებულად ჩავთვალოთ. ასევე უნდა ითქვას მაშველთა კორპუსის შესახებ, რომელიც სამოქალაქო თავდაცვის და სხვა ასპექტებით უკვე შექმნილია და მუშაობს.

IV. **ინსპექციები:** 1. საგადასახადო ინსპექცია; 2. ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია.

V. **სახელმწიფო კორპორაციები:** 1. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაცია; 2. პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაცია; 3. პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია.

VI. **კონცერნი „ნავთობპროდუქტი".**

ასეთია მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურა.

პარლამენტის წინაშე უშუალოდ ანგარიშვალდებული არიან შემდეგი უწყებები: 1. პროკურატურა; 2. კონტროლის პალატა; 3. სტატისტიკის კომიტეტი; 4. ეროვნული ბანკი; 5. საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური. ეს სამსახური, როცა მინისტრთა კაბინეტი ბლოკურ სისტემაზე იყო აგებული, შედიოდა იმ ბლოკში, რომელსაც სამართალდამცავი და თავდაცვის ორგანოების ბლოკს ვუწოდებდით. დღეს შეიძლება სჯობდეს, (იმდენად სპეციფიკური და საპასუხისმგებლოა ეს სფერო), რომ ეს სამსახური პარლამენტის უშუალო ზედამხედველობის სისტემაში შედიოდეს.

მთავრობის ახალი სტრუქტურა, როგორც მოითხოვდნენ ჩვენი პარლამენტარები, იმუშავებს კაბინეტური სისტემით, შეიძლება ეს არ იყოს კაბინეტური სისტემით მუშაობის მთლად კლასიკური ფორმა, მაგრამ საწყისები და ძირითადი საფუძვლები სწორედ ასეთი იქნება. ეს დიდი თვისებრივი გარდაქმნაა.

აი, ძირითადი კონკრეტული ორგანიზაციული სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც შემოთავაზებულია:

პირველი. გაუქმდა მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი. რა თქმა უნდა, ყველა მისი ფუნქცია, მათ შორის კადრების დამტკიცებისა, ეკისრება უშუალოდ მინისტრთა კაბინეტს.

პრეზიდიუმის არსებობა ეწინააღმდეგება მუშაობის კაბინეტური სისტემის პრინციპებს.

მეორე. სამინისტროების ბლოკებში გაერთიანება ასევე შეუთავსებელია მუშაობის კაბინეტური სისტემის პრინციპებთან.

მესამე. მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურული ცვლილებები ამცირებს მართვის ხარჯებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ წლის ბოლომდე ამ საკითხს ერთხელ კიდევ უნდა დავუბრუნდეთ. საჭიროა არა მარტო მინისტრთა კაბინეტისა და სამინისტროების სისტემის, არამედ საერთოდ მმართველობის ხარჯების შემცირება, ჩემი ვარაუდით, ეს სავსებით შესაძლებელია 20 %-ის ფარგლებში. ამ სახის შემცირებები თვითმიზანი არ არის.

მართვის სტრუქტურებიც და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების ჯამი იცვლება მართვის ოპტიმიზაციის შედეგად, ჩვენი ამოცანების ახლებურად გააზრების, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების, კრიზისის დაძლევის პროგრამის საფუძველზე.

თუ ხარჯების შემცირებამ მართვის ხარისხი გააუარესა, ასეთ შემცირებას აზრი არა აქვს. ჩვენ ამ თეზისს ვითვალისწინებდით, როცა მართვის ხარჯებს ვამცირებდით.

მინისტრთა კაბინეტის წარმოდგენილი სტრუქტურა შეესაბამება გარდამავალი ეტაპის თავისებურებებს, რადიკალური რეფორმების, სუვერენული, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თავისუფალი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პრინციპებს.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს დინამიურ ცვლილებებთან ერთად, მომავალში მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაც შესაბამისად შეიცვლება. ეს ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს. ეს უწყვეტი პროცესია. მთავარია ცვლილებები რაციონალური იყოს.

მთელი მინისტრთა კაბინეტის, პრემიერ-მინისტრის, ვიცე-პრემიერების, ყველა მინისტრისა და უწყების ხელმძღვანელის საქმიანობა, როგორც ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რეფორმატორული უნდა იყოს. და არა იმდენად ფორმით და არა მხოლოდ ფორმით, არამედ პირველ რიგში თავისი არსით, მიზანმიმართულებითა და დანიშნულებით, ესაა მთავარი.

რეფორმების განხორციელებაზე მთელი მთავრობა უნდა აგებდეს პასუხს და არა სახელმწიფო მოღვაწეთა და მოხელეთა ცალკეული ჯგუფები. მთლიანად მთავრობა, მთელი მინისტრთა კაბინეტი უნდა იყოს რეფორმატორული თავისი არსით და ბუნებით, სტრატეგიით და ტაქტიკით.

აქედან გამომდინარე, როცა დაკომპლექტდება მინისტრთა კაბინეტი, შეიძლება განვიხილოთ საკითხი რეფორმების შტაბის არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ.

შტაბი შეიძლება დარჩეს, შეიძლება არ დარჩეს. თუ შტაბი არ დარჩება, მაშინ მე ერთ-ერთ გამოსავალს იმაშიც ვხედავ, რომ **კვლავ გააგრძელოს მუშაობა სახელმწიფოს მეთაურთან არსებულმა ეკონომიკურმა საბჭომ.**

ამ საბჭოს ძირითადი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს რეფორმების, გარდაქმნების, ეკონომიკის გლობალური საკითხების სახელმწიფო დონეზე გააზრების, სათანადო პროექტების, პროგრამების შემუშავებისა და შესაბამისი კონტროლის დაწესებისაკენ.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ საბჭოს შემადგენლობაში დამატებით შევიყვანოთ ნამდვილი რეფორმატორები, ბიზნესმენები, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რეფორმატორი, ეკონომისტი. კონკრეტული კანდიდატურა შეიძლება დღეს არ დავასახელოთ, მაგრამ არის ორი-სამი ალტერნატიული კანდიდატურა.

ეს მოგვცემს იმის გარანტიას, რომ რეფორმების საკითხი, რეფორმების პრობლემა მუდმივად იყოს ხელისუფლების მხედველობის არეში.

ჩვენ ბევრი ვფიქრეთ პრემიერისა და ვიცე-პრემიერთა ფუნქციების და სტატუსის თაობაზე. პრემიერ-მინისტრის შესახებ საკითხი გარკვეულია.

მიგვაჩნია, რომ მინისტრთა კაბინეტში, ახალი სტრუქტურის თანახმად, უნდა იყვნენ ვიცე-პრემიერებიც.

ეს ინსტიტუტი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. ვიცი, რომ ეს საკითხი აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობას გამოიწვევს, მაგრამ ამ გარდამავალ ეტაპზე მე პირადად სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

თქვენ იკითხავთ: რას აკეთებენ მაშინ მინისტრები, რა საჭიროა ვიცე-პრემიერები?!

მრავალ ქვეყანაში ხომ სხვაგვარად წყდება ეს საკითხი?!

ერთი შეხედვით, თითქოს ასეა, მაგრამ თუ ღრმად დავუკვირდებით პრობლემებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას გარდამავალ, კრიზისულ პერიოდში, დავინახავთ, რომ საკითხის ამგვარად დაყენება არასწორია.

არ შეიძლება ღრმა კრიზისით მოცულ საქართველოს და, ვთქვათ, აყვავებულ შვეციას მთავრობის ერთნაირი სტრუქტურები გააჩნდეთ. ასეთი ფორმალური შედარება უმართებულოა.

ჩვენი მთავრობის სტრუქტურა რომ ასეთია და არა სხვაგვარი, ამას რომელიმე მეორე ქვეყნის მაგალითი კი არ განსაზღვრავს, არამედ ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ვითარება, მისი კრიზისული მდგომარეობა, მისი თავისებურება, მისი სპეციფიკა, მისი ისტორია და ის პრობლემები, რომლებიც მან უნდა გადაჭრას დღეს და ხვალ.

ამიტომ არ ჰგავს ერთმანეთს კონტრაპუნქტულად არც ერთი ქვეყნის მთავრობა.

ბუნებრივია, შემოქმედებითად თუ მივუდგებით საკითხს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურა ზუსტად არ შეიძლება ემთხვეოდეს არამცთუ სხვა ქვეყნის სტრუქტურის მოდელს, არამედ თავისი ქვეყნის წინა მთავრობის მოდელსაც.

დღეს სავსებით კანონზომიერად დაისვა საკითხი გარდაქმნების აუცილებლობის შესახებ.

ვიცე-პრემიერი არ ცვლის მინისტრს, არც ვიცე-მინისტრს, ის იმ ფუნქციებს ასრულებს, რაც სცილდება მინისტრის და სამინისტროს შესაძლებლობებს, რაც მოითხოვს სხვადასხვა სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის კოორდინაციას.

მართალია, მთელი მუშაობის კოორდინაცია, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრის ფუნქციაა, მაგრამ იმდენად რთულია ეროვნული ეკონომიკის რეფორმების, კრიზისის დაძლევის, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების პრობლემები და სხვა საკითხები, რომლებზედაც პრემიერ-მინისტრი მუშაობს, რომ ამას მარტო პრემიერ-მინისტრი ფიზიკურად ვერ გასწვდება.

კრიზისული, შერეული, მრავალწყობიანი ეკონომიკა გაცილებით მეტ პრობლემებს აყენებს მთავრობის წინაშე, ვიდრე დინამიურად განვითარებადი, აყვავებული ქვეყნის ეკონომიკა.

როცა ჩვენი ეკონომიკა შედარებით იოლად მართვადი გახდება, ჩვენც შეიძლება შეველიოთ ვიცე-პრემიერებს. დღეს კი ისინი აუცილებლად საჭირონი არიან.

ამავე დროს ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღეს შეიცვალა თვით ვიცე-პრემიერის ფუნქციები. ყოველ შემთხვევაში პრობლემას მე ასე ვხედავ.

ახალი ვიცე-პრემიერის ფუნქციები წინა მთავრობის ვიცე-პრემიერის ფუნქციების იდენტური არ უნდა იყოს. მუშაობის დუბლირება და მინისტრის ინიციატივის ჩახშობა გამორიცხულია.

როგორ გვესახება ჩვენ ვიცე-პრემიერთა საქმიანობა, მათი ფუნქციები.

კონკრეტულად: ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი, დავარქვათ მას პირველი, ცვლის პრემიერს მის არყოფნაში, ხელმძღვანელობს ოპერატიულ მართვას, დაგეგმვას, სამთავრობო პროექტების მომზადებას, სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებას, კოორდინაციას უწევს ისეთ სახელმწიფო პროგრამებს როგორიც არის — „ენერგეტიკა", „ტრანსპორტი", „ბიზნესის მხარდაჭერა", „სოციალური სფეროს განვითარება" და სხვ. განხორციელებას, შესაბამისი პროგრამების შემუშავებას, განხილვას და შესრულებას.

ეს ისეთი პროგრამებია, რომელთა განხორციელებას, ვიმეორებ, რამდენიმე სამინისტროსა და უწყების მუშაობის კოორდინაცია სჭირდება. ეს კი შეუძლებელია ვიცე-პრემიერის პოსტის გარეშე, რადგანაც ძნელია ერთმა სამინისტრომ მართოს მეორე სამინისტროს საქმიანობა, საჭიროა მაკოორდინებელი ფიგურა.

სწორედ ასეთი ფიგურაა ვიცე-პრემიერი, მაგრამ საჭიროა მისი ფუნქციები, მუშაობის სტილი და მეთოდები ძირფესვიანად შეიცვალოს დემოკრატიულ საფუძველზე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სამინისტროთა და უწყებათა შეთანაწყობილ ფუნქციონირებას, სოციალურ, ჰუმანიტარულ, საგანმანათლებლო, კულტურულ მოღვაწეობას, სამეცნიერო პროგრესის განვითარებას, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას, განსაკუთრებით ბავშვთა დამნაშავეობის აღმოფხვრას, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლას, სახელმწიფო პროგრამების შედგენის ხელმძღვანელობას და განხორციელების პროცესს, სახელმწიფოს ოპტიმალურ ტერიტორიულ მოწყობას და განვითარებას, შესაბამის ორგანოთა ფუნქციონირებას, ბევრი სხვა საკითხის გადაწყვეტას სჭირდება დაინტერესებულ სამინისტროთა, კომიტეტთა, დეპარტამენტთა, კორპორაციათა, ინსპექციათა ერთიანი ძალისხმევა, საუწყებათაშორისო და სარაიონთაშორისო საქმიანობის კოორდინაცია. ეს შეუძლებელია ვიცე-პრემიერის გარეშე.

თითქმის არ არსებობს საქმიანობის სფერო, რომ არ მიმდინარეობდეს ინტეგრაციის პროცესები, საჭირო რომ არ იყოს სათანადო კოორდინაცია.

აშკარაა, რომ სამხედრო მშენებლობის მატერიალური ბაზის შექმნას, თავდაცვის მრეწველობის ინტერესების რეალიზაციას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში მუშაობის შეთანხმებული საქმიანობა სჭირდება. ეს ჩვენი ეროვნული პროგრამაა და მისი გადაწყვეტა შეუძლებელია ვიცე-პრემიერის გარეშე.

ცალკე პრობლემად უნდა გამოიყოს ვიცე-პრემიერის ფუნქციები სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დარგში. ჩვენ ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ხალხისა და ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა დიდად არის დაკავშირებული მუდმივ საერთაშორისო კონტაქტებთან, სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ინტენსიფიკაციასთან, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების პოტენციის შესწავლა-გამოყენებასთან, სამთავრობათაშორისო კომისიების სრული მასშტაბით ამოქმედებასთან და ა. შ.

ამ დონეზე საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ეფექტურად წარმართვას, სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის მიზანდასახულ კოორდინაციას მაღალი სამთავრობო რანგი, ვიცე-პრემიერის რანგი სჭირდება.

სპეციალისტთა და ექსპერტთა დასკვნით მინისტრთა კაბინეტში გარდამავალ პერიოდში საჭიროა 5 ვიცე-პრემიერი, როგორც აქამდე იყო. რომელ ვიცე-პრემიერს რა ფუნქციები დაეკისრება, ეს პრემიერ-მინისტრმა და სახელმწიფოს მეთაურმა უნდა გადაწყვიტონ მდგომარეობის შესაბამისად და იმის მიხედვით, თუ ვის რა უნარი და გამოცდილება გააჩნია. საჭირო იქნება სათანადო კონსულტაციები პარლამენტის შესაბამის სტრუქტურებთან.

გასაგებია, რომ პრემიერ-მინისტრი ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას მინისტრთა კაბინეტის, აპარატის, სამინისტროების, დეპარტამენტების, სხვა უწყებების საქმიანობაზე და სხვ., მაგრამ ყველა პრობლემას, როგორც ვთქვით, პრემიერი ვერ გასწვდება.

მართვის ყველა დიდ სფეროში პრემიერს უნდა ჰყავდეს დასაყრდენი ფიგურა. პრემიერ-მინისტრი უშუალოდ მუშაობს ყველა მინისტრთან და უწყების ხელმძღვანელთან სამინისტროს პრობლემებზე. მაგრამ იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომელთა მოწესრიგება მოითხოვს სამინისტროთა მუშაობის კოორდინაციას, ერთი მხრივ, პრემიერს კოორდინაციაში ეხმარება ვიცე-პრემიერი, მეორე მხრივ, ვიცე-პრემიერი მინისტრს ეხმარება სამინისტროს იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მისი, მინისტრის კომპეტენციას სცილდება. ამიტომ ვიცე-პრემიერი ზედმეტი კი არა, მართვის აუცილებელი რგოლია.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ახალი ეკონომიკური მექანიზმების თანდათანობითი და სისტემატური ამოქმედება წარმოადგენს უნივერსალურ პრობლემას ყველა სამეურნეო დარგისათვის.

სახალხო მეურნეობის, როგორც ერთიანი მექანიზმის, მწყობრი ფუნქციონირება ქვეყანაში შეუძლებელი იქნება, თუ გარდამავალი პროცესის ყოველი ეტაპისათვის სტრუქტურული რეორგანიზაციის თანამედროვე დონე ურთიერთშეთანხმებულად არ იქნება რეალიზებული ყველა დარგში ერთდროულად. ამ მხრივ დარგები ერთმანეთს არ უნდა ჩამორჩნენ.

დარგთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა, სათანადო პოლიტიკის გააზრება და მისი კოორდინირებული წარმართვა არის შესაბამისი ვიცე-პრემიერის ფუნქცია.

მე, შეიძლება, ცოტა მეტს ვლაპარაკობ ამ ინსტიტუტზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი სადავო საკითხი იქნება და ამიტომ ჩემს თავს ვაძლევ უფლებას მოვიყვანო სხვადასხვა არგუმენტი ჩემი მოსაზრების სასარგებლოდ, ვიცე-პრემიერთა არსებობის დასაცავად.

ვიცე-პრემიერის რანგი და დონე საჭიროა გაეროს ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევრობანკთან, ევროგაერთიანებასთან, იუნესკოსთან, ნატოსთან და მთელ რიგ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საიმედო და ეფექტიანი თანამშრომლობისათვის, ინტერდისციპლინარული, საერთაშორისო ღონისძიებების, პროგრამების, ხელშეკრულებების შესასრულებლად მრავალმხრივი საქმიანობის კოორდინაციისათვის.

ვიცე-პრემიერის დონე, მისი მონაწილეობა აუცილებელია, მაგალითად, ევრაზიის ეკონომიკური დერეფნის ფორმირების პროცესში. მე არ ვამბობ, რომ სპეციალურად ამ დარგში უნდა იყოს ერთი ვიცე-პრემიერი, მაგრამ ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი სხვა საკითხებთან ერთად ამ პროგრამას მართლაც უნდა ჩაუდგეს სათავეში, რადგანაც ის არა მარტო რამდენიმე უწყების საქმიანობის კოორდინაციას, არამედ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბევრი საკითხის კარდინალურ კორექტირებასაც მოითხოვს.

ავიღოთ სხვა პრობლემა.

(გაგრძელება მე-2 გვ.)



ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი

თბილისი. ხანმოკლე ვიზიტით ჩამოვიდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი პაველ გრაჩოვი. იგი მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. შეხვედრის დროს ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ახლა შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. დასრულდა ორ ქვეყანას შორის ახალი ურთიერთობის მშენებლობის პირველი ეტაპი, რომელიც შეიცავს დიდი, ყოვლისმომცველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა პაკეტის მომზადებას და ხელმოწერას. უახლოეს დღეებში უნდა დასრულდეს საქართველოს და რუსეთის ექსპერტთა მოლაპარაკების მორიგი რაუნდი.

შეეხო რა ორი ქვეყნის საზღვრების საკითხს, ბატონმა შევარდნაძემ მხარი დაუჭირა თავისუფალი ვაჭრობისა და მოქალაქეთა უვიზო გადაადგილების რეჟიმს.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: თუ წინათ არსებობდა გაუგებრობანი ორ ქვეყანას შორის, რასაც ამწვავებდა კონფლიქტები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, ახლა მათი მოწესრიგების შემდეგ, დაიწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესება.

საუბრის დროს ედუარდ შევარდნაძემ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო რუსულენოვანი მოსახლეობისადმი დამოკიდებულებას.

დაახლოებით ნახევარი მილიონი რუსი ცხოვრობს საქართველოში, — თქვა მან, — და არასდროს არ ყოფილა მათ მიმართ მტრული დამოკიდებულება. უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობენ საქართველოში რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ფართოდ არის ცნობილი გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივის სახელი. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზეც. ქვეყანაში მიღებული კანონი მოქალაქეობის შესახებ აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო ნორმას. ამიტომ, რუსეთის ხელმძღვანელობას, ამ თვალსაზრისით, შეუძლია აბსოლუტურად მშვიდად იყოს.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა გამოთქვა კმაყოფილება გამართული მოლაპარაკების გამო.

— უახლოეს მომავალში, — აღნიშნა მან, — მოსალოდნელია ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულების ხელმოწერა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ შეხვედრის დროს მიღწეულია ურთიერთგაგება საქართველოს სამ ქალაქში — თბილისში, ბათუმსა და ახალქალაქში — რუსეთის ჯარების კონცენტრაციის საკითხის თაობაზე. საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული მთელი ჯარები დაექვემდებარება ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობას. მათ შორის რუსეთის ის ჯარებიც, რომლებიც დისლოცირებულნი არიან აფხაზეთის ტერიტორიაზე.

მინისტრმა აგრეთვე განაცხადა, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ არ იქნება გატანილი არცერთი ერთეული სამხედრო ტექნიკა, რაც შეეხება ფლოტის გაყოფის საკითხს, იგი გადაწყდება რუსეთსა და საქართველოს შორის დიდი ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

პაველ გრაჩოვმა გამოთქვა რწმენა, რომ რუსი და ქართველი ხალხები შეინარჩუნებენ ძმურ ურთიერთობას.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

თქვენო აღმატებულებავ,

მადლობას მოგახსენებთ იმ გულთბილი წერილისთვის, რომლითაც თქვენ მომმართეთ ა. წ. 11 აგვისტოს.

მეთვალყურეთა გამოგზავნა უშიშროების საბჭოს მიერ გუშინ მიღებული 858-ე რეზოლუციის თანახმად, ეჭვს გარეშეა, განამტკიცებს ა. წ. 27 ივლისს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეულ შეთანხმებას. როგორც თქვენთვის ცნობილია, წინასწარი კონტინგენტი უკვე სოხუმშია, ხოლო მეთვალყურეთა დამატებითი ჯგუფი სულ მოკლე ხანში ჩამოვა.

ამავე დროს, ვფიქრობ, ამჟამად არანაკლებ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებაზე. ორივე მხარე უნდა მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას და არსებული აზრთა სხვადასხვაობა მიმართოს იმისკენ, რათა მიღწეული იქნეს პოლიტიკური კომპრომისი.

უშიშროების საბჭოს მიერ 858-ე რეზოლუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ჩემი სპეციალური დესპანი ენერგიულად მუშაობს ამ საკითხებზე და მოკლე ხანში წარმოგვიდგენს ზოგიერთ კონკრეტულ მოსაზრებას.

მსურს დაგარწმუნოთ თქვენ და საქართველოს ხალხი, რომ მე კვლავაც მხარს ვუჭერ საქართველოში ხანგრძლივი მშვიდობის აღდგენისკენ მიმართულ თქვენს ძალისხმევას.

ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, დაგიდასტუროთ ჩემი ღრმესი პატივისცემა.

ბუტროს ბუტროს გალი.
26 აგვისტო, 1993 წელი.

საუბრის თემა — სასაზღვრო ჯარები

31 აგვისტოს, გვიან ღამით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ანდრეი ნიკოლაევი და მისი თანმხლები პირები. საუბარი შეეხო საქართველოში დროებით დისლოცირებული რუსეთის სასაზღვრო ჯარების ფუნქციონირებას, შესაბამისი ქართული სასაზღვრო ნაწილების ფორმირების პროცესში მათი მონაწილეობის ასპექტებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, სხვა ოფიციალური პირები.

უკანასკნელ საათს

ვითარება სამეგრელოში

სენაკში ვითარება კვლავ დაძაბულია. საქინფორმის კორესპონდენტთან თენგიზ პაჭკორიასთან საუბარში აკაკი ელიავამ განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეებს არ გადაუკეტავთ და არც გადაკეტავენ რკინიგზასა და საავტომობილო ტრასას სენაკისა და აბაშის რაიონების ტერიტორიაზე და მზად არიან გაატარონ ნებისმიერი სარკინიგზო შემადგენლობა და ავტომანქანები, რომლებიც მიდიან როგორც თბილისში, ისე ფოთსა და სოხუმში, სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის გარდა. აკაკი ელიავამ აგრეთვე განაცხადა, რომ უსაფრთხოების შესაბამის გარანტიას აძლევს მათს კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მიმავალ ყველა სახეობის ტრანსპორტს.

სენაკში მყოფმა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ოთარ კოხიამ თქვა, რომ მას კონტაქტები აქვს ორივე დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლებთან და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეანელოს შექმნილი დაძაბული ვითარება. მან აღნიშნა, რომ ესაუბრა ქალაქ ფოთის წარმომადგენლებს, რომლის დროს განიხილეს ფოთიდან სენაკში ფქვილის შეტანის საკითხი. მიღწეულია მორიგება მარცვლეულისა და ფქვილის შეტანის შესახებ, როგორც კი ფოთში წისქვილკომბინატი ამუშავდება.

როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა იგორ ნარმანიამ თქვა, გამსახურდიას მომხრენი იძლევიან სენაკისა და აბაშის რაიონების გავლით ფოთიდან თბილისში მარცვლეულის გატარების გარანტიას. მან აღნიშნა, რომ ის შეატყობინა თანამდებობის პირებს თბილისში.

• • •

სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ 31 აგვისტოს, ზუგდიდში, ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ულტიმატუმი წაუყენეს სამეგრელოს რაიონების ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებს — გამგებლებს, პროკურორებს, პოლიციის უფროსებს, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკებს. ისინი მოითხოვენ, რომ გაწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა ოფიციალურ ხელისუფლებასთან, შეწყვიტონ საბანკო-საფინანსო ოპერაციების წარმოება, რათა რაიონების ბანკებში არსებული თანხები თვითონ მოიხმარონ. ულტიმატუმის მოქმედების ვადად დათქმული იყო 1 სექტემბრის 13 საათი.

გალის გამგებლის რუდიკ ცაავას ცნობით, მას წაყენებული აქვს ულტიმატუმი გააკეთოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ცნობს „გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებას", თორემ 500-კაციანი ჯგუფი შევა და დაიკავებს გალის ტერიტორიას, რაც რუდიკ ცაავას აზრით, საფრთხეს შეუქმნის და გაამწვავებს სიტუაციას ოჩამჩირეში, ტყვარჩელსა და სხვა რეგიონებში.

„მოთხოვნები" გროზნოდან

სანდო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ გროზნოდან მიღებულია შემდეგი კატეგორიული მოთხოვნები: გამკაცრდეს ქალაქ ფოთის ბლოკირება, ამასთან ბლოკირებული იქნეს მთელი რეგიონი, მომზადდეს პირობები პრეზიდენტ-ყოფილის ჩამოსვლისა და მისი პირადი დაცვისათვის. კატეგორიული მოთხოვნაა, რომ არავითარი დიალოგი და პოლიტიკა არ გაიმართოს „დღეს არსებული ბანდიტების მთავრობასა და ხუნტასთან"; თბილისთან შეწყდეს ყოველგვარი საფინანსო-საბანკო ოპერაციები, მათ შორის, აიკრძალოს თბილისში თანხების გადმორიცხვა. ზუგდიდში ულტიმატუმური მოთხოვნები გადასცეს რაიონების გამგებლებს, სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელებს არ დაემორჩილონ საქართველოში დღეს არსებულ ხელისუფლებას, ცნონ პრეზიდენტ-ყოფილის ხელისუფლება და გააკეთონ ამის შესახებ განცხადებები.

გროზნოდან გაცემულია განკარგულება მოიყვანონ საბრძოლო მზადყოფნაში ყველა შეიარაღებული რაზმი და დაელოდონ ბრძანებას საბრძოლო ოპერაციების დაწყების შესახებ.

საქინფორმი

მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურის შესახებ

(გაგრძელება).

საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ნორმალურად ჯერ დამკვიდრებისთვის (თუ შემოვიღებთ ასეთ ზონებს), შემდეგ კი მათი ფუნქციონირებისა და მრავალი სხვა კომპლექსური ღონისძიებების კოორდინირებულად წარმართვისათვის უსათუოდ საჭიროა ვიცე-პრემიერის დონე, რადგანაც ერთი სამინისტრო ამ დიდ საქმეს ვერ გაწვდება.

ჩვენ უკვე მრავალ ქვეყანასთან მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებებს, მათ შორის ეკონომიკის სფეროში. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად იქმნება სახელმწიფოთაშორისო კომისიები.

სასურველია, რომ ამ კომისიების სათავეში იდგეს მაღალი რანგის მოღვაწე, პრაქტიკული გამოცდილება ასეთია: რომელიმე ქვეყანაში თუ ჩვენი კომისიის ის თავმჯდომარე, რომელსაც მაღალი, ვთქვათ, ვიცე-პრემიერის რანგი აქვს, მას გზა გახსნილი აქვს პრემიერებისაკენ, პრეზიდენტებისაკენ, პარლამენტებისაკენ და ა. შ. ის მეტს გააკეთებს, ვიდრე რიგითი მინისტრი.

სამთავრობათაშორისო კომისიები, რომელთა შესახებაც მოგახსენეთ, წლის ბოლომდე ჩვენთან თხუთმეტამდე იქნება.

ჩვენ ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ ისეთ ერთობლივ სამთავრობათაშორისო კომისიებზე, როგორიც არის საქართველო-გერმანიის, საქართველო-თურქეთის, საქართველო-ირანის, საქართველო-აზერბაიჯანის, საქართველო-უკრაინის, საქართველო-თურქმენეთის, საქართველო-ყაზახეთის კომისიები. ალბათ, მალე დამთავრდება ხელშეკრულებების ხელმოწერა რუსეთთან, სხვა ქვეყნებთან.

ეს უზარმაზარი პრობლემების გადაჭრას მოითხოვს.

მე არ ვამბობ, ყველა კომისიის სათავეში მარტო ვიცე-პრემიერები უნდა იყვნენ, მაგრამ ძირითადად ეს კომისიები უნდა მიჰყავდეთ ვიცე-პრემიერებს.

თუ ასე მოვიქცევით, ჩვენ ბევრ პრობლემას გადავჭრით, რომლებსაც ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

აი, ახლა სამთავრობო კრიზისი რომ არ იყოს, ბატონი რომან გოცირიძე დამეთანხმება, ჩვენ გველოდებიან უკრაინაში, ვიცე-პრემიერის დონეზე, რათა გაფორმდეს ხელშეკრულებები საქართველოსათვის საკმაოდ სერიოზული კრედიტების გამოყოფის შესახებ.

ასეთი საგარეო ეკონომიკური აქციები მინისტრების დონეზე ერთ შედეგს მოგვცემს, ვიცე-პრემიერის დონეზე — მეორეს, უკეთესს. ეს არის საქმის არსი.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაშიც.

ეს და სხვა არგუმენტები იმაზე მეტყველებენ, რომ საჭიროა ვიცე-პრემიერების პოსტების შენარჩუნება. ერწმუნეთ ჩემს პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამოცდილებას, ეს ასეა.

მე მხოლოდ საქმის ინტერესები შალაპარაკებს.

გადავიდეთ სხვა საკითხებზე.

მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურის თანახმად გაუქმდა ორი სამინისტრო — ენერგეტიკის სამინისტრო და ტრანსპორტის სამინისტრო. ამით შემცირებულია დღეისათვის, ფაქტობრივად, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, მართვის ორი ზედმეტი შუალედური რგოლი.

ენერგეტიკის სამინისტროს ნაცვლად სრული დამოუკიდებლობის პირობებში იმუშავებენ დეპარტამენტები: „საქენერგო", „საქგაზი". „საქნავთობი", „საქნახშირი".

ეს დარგები მოითხოვენ თითქმის სრულ ავტონომიურ ფუნქციონირებას. მართვის თუნდაც ერთი ზედმეტი რგოლი მხოლოდ დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცევა ამ სისტემების ნორმალური მუშაობისთვის.

ჩვენ ადრეც ვიხილავდით ამ საკითხს, მაგრამ მაშინ გარკვეული მიზეზების გამო ჩავთვალეთ დროებით შეგვენარჩუნებინა არსებული სტრუქტურა.

„საქენერგოს" სამინისტრო იყო სამინისტროში. მას დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება უნდა მივცეთ.

დღის წესრიგში იდგა ტრანსპორტის სამინისტროს რეორგანიზაციის საკითხიც.

მე და ბატონი თენგიზ სიგუა ერთად ვიყავით რკინიგზელებთან შეხვედრაზე და მაშინ ვთქვი, რომ საერთო მოთხოვნაა: რკინიგზა დამოუკიდებელი იყოს.

რკინიგზა სახელმწიფოა სახელმწიფოში. ეს უზარმაზარი სისტემაა თავისი თავისებურებებით, სპეციფიკით და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობით. მას ბოჭავდა სამინისტროს სისტემა; ამიტომ გადავწყვიტეთ მივცეთ რკინიგზას დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება.

მომავალში ასევე დამოუკიდებლად, ავტონომიურად იმუშავებენ საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტები. ყოველ მათგანს ექნება საქმიანი ურთიერთობა საზღვარგარეთ შესაბამის სტრუქტურებთან.

საერთაშორისო ურთიერთობების გარეშე ვერც ერთი სისტემა ვერ იმუშავებს. არავითარი მონოპოლია ამ მხრივ არ უნდა არსებობდეს. აღნიშნულ დეპარტამენტებს უნდა მივცეთ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სრული თავისუფლება.

გაიყო არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტრო ორ დეპარტამენტად. მე მგონი, ისიც სერიოზული, მომწიფებული საკითხია.

შეიქმნა მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა დეპარტამენტები (ცალ-ცალკე). აქაც ზემოაღნიშნულის ანალოგიურ მოდელსთან გვაქვს საქმე.

ჩვენ ამ გადაწყვეტილებით მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მივანიჭეთ სამშენებლო დეპარტამენტს.

მიმდინარეობს ზედმეტად ინტეგრირებული მართვის ორგანოების ოპტიმალური დიფერენციაცია. ამის მაგალითია ის რეორგანიზაციები, რაც განხორციელდა რიგ სამინისტროებსა და უწყებებში, მათ შორის მშენებლობისა და არქიტექტურის მართვის სისტემაში.

დღეს ძლიერდება მშენებლობაში კერძო სექტორი. იზრდება უცხოური ინვესტიციები. შემოდიან საქართველოში უცხოეთის სამშენებლო ფირმები. ჩვენი მშენებლები იმუშავებენ საზღვარგარეთ. გვაქვს დიდი პერსპექტივები. ეს ძალიან კარგია.

საჭიროა ამ პროცესების დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებით მართვა. სწორედ ამას უზრუნველყოფს შემოთავაზებული რეორგანიზაცია.

მშენებლობის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს მშენებლობის დარგში რეფორმების გატარება. მიმდინარე პროცესების მართვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დონეზე. მშენებლობის მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა და სხვ.

არქიტექტურის დეპარტამენტმა კი უნდა გაატაროს მშენებლობაში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, მოახდინოს მონიტორინგი სამშენებლო სფეროში, ხელი შეუწყოს ეროვნული არქიტექტურის განვითარებას და სრულყოფას, ამ სფეროში მსოფლიო მიღწევების ათვისებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი გადაკეთდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტად.

ჩემი აზრით, ეს არ უნდა იყოს მარტო აზრის მექანიკური გამოცვლა, მარტოოდენ სახელწოდების შეცვლა. როდესაც ჩვენ ამ დეპარტამენტს დავარქვით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი, — ეს, პირველ რიგში, ნიშნავს ამ უწყების ორიენტირებას მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მიღწევებზე, ქართული მეცნიერების განვითარებაზე.

ამ დეპარტამენტმა ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიური აზრის მიღწევების წარმოებაში რაც შეიძლება სწრაფად დანერგვას, ამ გზით მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სამამულო პროდუქციის გატანას, ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებას, სამამულო მეცნიერებაში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულებების განვითარებას მსოფლიო მიღწევების დონეზე და სხვ.

დეპარტამენტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს მეცნიერებათა აკადემიასთან, დარგობრივ აკადემიებთან, საქართველოსა და მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იუნესკოსთან და ა. შ.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის დეპარტამენტად ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, მეცნიერებათა აკადემიის სხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის მიღწევითაც არის გაპირობებული, მეორე მხრივ, მეცნიერებაზე საბიუჯეტო დაფინანსების გარკვეული მიზეზების გამო ერთჯერადი შემცირებით და მეცნიერებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი ფონდების მნიშვნელობის ზრდით.

დეპარტამენტის საქმიანობის მთავარი მიმართულება, გარდა კოორდინაციისა და მეცნიერების განვითარებისადმი ხელშეწყობისა, უნდა იყოს მეცნიერების, ტექნოლოგიისა და წარმოების კავშირის ყოველმხრივ განმტკიცება.

ამ ფუნქციების შესრულება უფრო ხელეწიფება დეპარტამენტს, რომელიც ნაკლებად არის შეზღუდული, თავისუფლად ახორციელებს საშინაო და საგარეო აქციებს, გააჩნია სათანადო რწმუნებები შინ და გარეთ პრაქტიკული დანიშნულების საკითხების გადასაწყვეტად.

ჩემი აზრით, ყოველივე ეს შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების ინტერესებს. მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურულ ცვლილებებში ჩვენ, რაოდენობრივ ცვლილებებთან შედარებით, უპირატესობას თვისობრივ ცვლილებებს ვანიჭებთ.

საჭიროა თანამედროვე სამინისტროს, კომიტეტის, დეპარტამენტის, ინსპექციის, კორპორაციის — როგორც სამთავრობო სტრუქტურების უფრო ღრმა კონცეპტუალური გააზრება, მეცნიერებისა და პრაქტიკის ახალი სინთეზი, არა საზღვარგარეთული მატრიცების ბრმად გადმოღება, არამედ უცხოეთის გამოცდილების შემოქმედებითი ათვისება. ყველამ უნდა მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი, ვისაც საერთო გვაქვს მართვასთან.

როცა ვაყალიბებთ სამთავრობო სტრუქტურებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი უნდა ახორციელებდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას.

საგარეო პოლიტიკა არ არის მარტო საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის პრეროგატივა.

ამ კომიტეტზე მე ქვემოთ კიდევ ვილაპარაკებ, თუ როგორ წარმომიდგენია მისი როლი და ადგილი ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში, აქ კი მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ეს ორი უწყება უცხოეთთან ძირითადად სახელმწიფო სტრატეგიულ ურთიერთობებს ახორციელებს.

სხვა სამინისტროებს, კომიტეტებს, დეპარტამენტებს, კორპორაციებს, ინსპექციებს ეს ხელს არ უშლის თავისუფლად, დამოუკიდებლად აწარმოონ ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობა უცხოეთთან, ჩაერთონ სხვადასხვა პროგრამებში, ტექნოლოგიების დამუშავებაში, კორპორაციებში, ჰოლდინგებში, შერეულ კომპანიებში და ა. შ.

ეს არამცთუ სასურველია, აუცილებელიცაა. ყველა სამინისტრო და უწყება უნდა ემსახუროს ეკონომიკურ რეფორმებს, ბიზნესის, კომერციის, ექსპორტისა და იმპორტის განვითარებას.

ამ საქმეში მათ დაეხმარება საგარეო საქმეთა სამინისტრო და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი.

საგარეო პოლიტიკა არ უნდა მოწყდეს საშინაო პოლიტიკას.

ყველა ფირმამ, ყველა ბანკმა, დიდმა, საშუალო და მცირე ბიზნესმა, კომერციულმა სტრუქტურებმა უნდა დაამყარონ საერთაშორისო ურთიერთობები უცხოელ პარტნიორებთან, ბანკებთან, ფირმებთან, ხელი შეუწყონ უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში, განავითარონ ექსპორტი და იმპორტი.

ეს შედარებით ახალი საქმეა ჩვენი ქვეყნისათვის. ეს ძალიან დიდი მეცნიერებაა, დიდი ხელოვნებაა და ჩვენ ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ მას.

ამ და სხვა ფუნქციების რეალიზაციას უნდა მოერგოს მართვის თითოეული სტრუქტურა და მისი ქვედანაყოფი.

ასეთია ზოგიერთი ინსტიტუციონალური, სტრუქტურული, რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის წარმოდგენილი პროექტით.

ეს არ არის კოსმეტიკური ცვლილებები, როგორც ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი აცხადებს.

ეს სიღრმისეული, თვისებრივი გარდაქმნის მომცველი რეფორმებია პრემიერ-მინისტრის, ვიცე-პრემიერების, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, ინსპექციების, კორპორაციების და სხვა პოსტებისა და უწყებების დონეზე.

ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მინისტრთა კაბინეტის აპარატის სტატუსი, მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

მინისტრთა კაბინეტის აპარატში უქმდება დარგობრივი განყოფილებები. ასეთია პრემიერ-მინისტრის, ბატონ ოთარ ფაცაციას და პირადად ჩემი შეხედულება. ამ აზრს იზიარებენ სხვებიც, ვისთანაც ჩვენ გვქონდა წინასწარი კონსულტაციები.

საჭიროა შეიქმნას მუდმივმოქმედი საერთო დანიშნულების სამსახურები: იურიდიული, ინფორმაციული, პრესცენტრი, სამეურნეო უზრუნველყოფისა და სხვა.

სხვათა შორის სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახური შეიძლება ერთიანი იყოს პარლამენტის, სახელმწიფოს მეთაურის აპარატისა და მინისტრთა კაბინეტისათვის.

პატარა ქვეყანაში აუცილებელი არ არის რამდენი სახელმწიფო, სამთავრობო სისტემაც არის, იმდენი სამეურნეო უზრუნველყოფის აპარატი თავისი შავი მანქანებით, დიდი, საშტატო ერთეულებით, ფართო კაბინეტებით და ა. შ.

სადაც ეს შესაძლებელია და არ ეწინააღმდეგება ჩვენს კანონმდებლობას, ალბათ, იქ ასეთი სამეურნეო უზრუნველყოფის აპარატები უნდა გავაერთიანოთ.

მინისტრთა კაბინეტის აპარატი უნდა ასრულებდეს მხოლოდ კაბინეტის ანალიტიკური, ინფორმაციული, ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელშეწყობის ფუნქციას. იგი უნდა ამზადებდეს სამთავრობო დადგენილებების პროექტებს, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო პროგრამების შესრულებას და სხვ.

შექმნილი მოთხოვნილების მიხედვით აპარატში შესაძლებელია შეიქმნას სხვადასხვა ტიპის დროებითი კომისიები.

მიზანშეწონილია მინისტრთა კაბინეტის აპარატში სახელმწიფო მრჩეველთა სრულყოფილი ინსტიტუტის შექმნა, რომელიც გაუძღვება სახელმწიფო პროგრამების შედგენას და წარმართვას, შეასრულებს სხვა ფუნქციებს.

მრჩევლები უნდა იყვნენ უმაღლესი რანგისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები, სათანადო ანაზღაურებით და უზრუნველყოფით. მრჩეველთა რაოდენობა დიდი არ უნდა იყოს, იქნებ 8-10. თითოეული მათგანი უნდა იყოს პოლიტიკის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებებზე ორიენტირებული და პასუხისმგებელი.

საჭიროა მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის მეთოდოლოგიის სრულყოფა. მთავრობის წევრებს დამოუკიდებლად უნდა მიჰყავდეთ თავისი საქმე; პრობლემები, პროგრამები, სტრატეგიული მიმართულებები; მათ უნდა იმუშაონ პერსპექტივის გათვალისწინებით, აითვისონ თანამედროვე მართვის თეორია და პრაქტიკა, სტრატეგია და ტაქტიკა, გააძლიერონ კონტროლი, მოთხოვნა, დაამყარონ კანონიერება და წესრიგი და დარწმუნებული ვარ საქმეც წინ წავა.

მინისტრთა კაბინეტი ითვალისწინებს, რომ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოებრივი მართვის პრობლემებმა მიიღეს კომპლექსური, არსებითად ინტერდისციპლინარული და უნიკალური ხასიათი.

მთავრობას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი პრობლემები ვეღარ თავსდებიან არსებული მეურნეობის დარგობრივი დაყოფის სტრუქტურებში.

ამიტომ დღეს საზოგადოების უმნიშვნელოვანესი პრობლემების სახელმწიფოებრივი გადაწყვეტის ძირითადი ფორმაა მიზნობრივი სახელმწიფოებრივი პროგრამები.

ყოველი ასეთი პროგრამა კონკრეტულ შედეგზეა ორიენტირებული.

ყოველი ასეთი პროგრამის სახელმწიფოებრივი კოორდინირებისა და წარმართვის ფუნქცია სამთავრობო სტრუქტურებმა, მათ შორის მრჩეველთა ინსტიტუტმა უნდა შეასრულოს. ამიტომ მრჩევლის თანამდებობრივი ფუნქცია სტრატეგიულ პრობლემაზე ორიენტირებული სახელმწიფო მართვის უზრუნველყოფაა.

დღევანდელ ვითარებაში მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში უკვე იკვეთება რამდენიმე დარგში მრჩევლის არსებობის აუცილებლობა: კერძოდ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, მშენებლობის, დიდი, საშუალო და მცირე ბიზნესის დარგში და სხვა.

მინისტრთა კაბინეტის მთავარ მრჩევლებად უნდა მივიწვიოთ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული და მსოფლიო გამოცდილების, თეორიისა და პრაქტიკის უკეთ გამოყენებას მინისტრთა კაბინეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მრჩევლებად შეიძლება მოვიწვიოთ ყოფილი პრემიერ-მინისტრები, ვიცე-პრემიერები, მინისტრები, ვისაც პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია: ნიჭიერი ახალგაზრდა მოღვაწეები, მეცნიერები და ა. შ.

უცხოელი სპეციალისტების მოწვევის თვალსაზრისით უნდა გადავდგათ რეალური და კონკრეტული ნაბიჯები. არის პირველი ცდები, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ძალიან უმნიშვნელოა და საქმეს დიდად არ დასტყობია.

ბევრი საშუალება არსებობს და ეს არც ისე ძვირადღირებული სიამოვნებაა.

არის იმის რეალური შესაძლებლობაც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროგაერთიანება და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მთელი რიგი ქვეყნები ამ საქმეში დაგვეხმარებიან, მაგრამ საჭიროა ჩვენ მეტი ინიციატივა გამოვიჩინოთ.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად მრჩეველთა ინსტიტუტი მინისტრთა კაბინეტის აპარატის შემადგენლობაში შედის და მის მძლავრ ბირთვს წარმოადგენს.

დღევანდელი მინისტრთა კაბინეტი, მისი სტრუქტურა იქმნება იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომ ქვეყანა იმყოფება გარდამავალ ეტაპზე, ცენტრალიზებული მართვის ეკონომიკის რღვევისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდში, რომ ჩვენ ვართ განვითარებადი ქვეყანა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

არ არის ლოგიკური, როგორც ამას ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი გვთავაზობს, კრიზისით მოცულ განვითარებად ქვეყანაში პოსტინდუსტრიალური, მაღალგანვითარებული კაპიტალისტური, სტაბილური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მთავრობის ანალოგიური სტრუქტურის მქონე მინისტრთა კაბინეტი ჩამოვაყალიბოთ.

ეს არის უკეთეს შემთხვევაში დილეტანტიზმი და პოპულიზმი, ბრმა მიმბაძველობა და არა საკითხისადმი შემოქმედებითი, პროფესიონალური მიდგომა.

მე, როცა ამ საკითხებზე ვლაპარაკობ, არც ის მინდა ვთქვა, რომ აქამდე არაფერი არ გაკეთებულა და ახლა იწყება ყველაფერი.

ძალიან დიდი სამუშაო შესრულდა წინა პერიოდში მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის კომისიების მიერ, რეფორმების შტაბის და სხვა სტრუქტურების ჩამოყალიბების, პირველ რიგში რეფორმებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნის, სათანადო პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების თვალსაზრისით.

მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი პოზიცია, საწყისი ეტაპია. მთავარი სამუშაო წინ არის.

საჭიროა მინისტრთა კაბინეტმა მართვის ისეთი სისტემა შექმნას, რომელიც ერთდროულად აამოქმედებს პარალიზებულ ეკონომიკას და რეფორმებისა და გარდაქმნების კურსის წყალობით კრიზისისაგან იხსნის ქვეყანას. იმავე დროს სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროცესს ისე წარმართავს, რომ თანდათანობით, გეგმაზომიერად, მოფიქრებულად, ცვლილებათა ადეკვატურად მოხდება **საწარმოო ძალთა განთავისუფლება ადმინისტრაციული მეურვეობისაგან და მაქსიმალური პირობები შეიქმნება თავისუფალი სამეურნეო განვითარებისათვის. ეს ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული მიზანია.**

ასეთი სტრატეგია შესაბამის პირობას უყენებს თვით მართვის სტრუქტურებსაც, გარდაქმნას მოითხოვს მათგანაც.

ამიტომ სხვაგვარად, ახლებურად, შემოქმედებითად გავიაზრეთ როგორც ყოველი სამინისტროს სტრუქტურა და ფუნქცია, ასევე მთელი მინისტრთა კაბინეტის ორგანიზაციის პრინციპები, მეთოდები და ფორმები.

მიზანშეწონილია მომავალში, მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის მსგავსად, თითოეული სამინისტრო თანდათანობით განთავისუფლდეს უშუალო სამეურნეო საქმიანობისაგან. ლაპარაკია იმათზე, ვისაც ეს ფუნქცია შემორჩა.

მაგრამ ეს არა ერთჯერადი აქციაა, არამედ ეტაპობრივი პროცესია.

ამჟამად სამინისტროებში შემავალი სამეურნეო ერთეულები უნდა ჩამოყალიბდნენ სახელმწიფო, ჰოლდინგურ კომპანიებად ან რაიმე სხვა ფორმით, რომლებიც ადმინისტრაციულად სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში არ იქნებიან.

მე მინდა დავარწმუნო ყველა ურწმუნო თომა, რომ მინისტრთა კაბინეტს, სახელმწიფოს მეთაურს სრულიადაც არ სჭირდებათ, რომ სამინისტროებს და უწყებებს ჰქონდეთ სამეურნეო ფუნქციები, როცა ეს გამოწვეული არ არის აუცილებლობით, გარდამავალი, შერეული, მრავალწყობიანი ეკონომიკის განვითარების შინაგანი ლოგიკით.

ბევრი პარლამენტარი, მათ შორის მგონი ბატონი ი. შენგელაიაც, გვთავაზობენ: დეპარტამენტები და სხვა სტრუქტურები დღესვე გარდავქმნათ კომპანიებად, დღეს ეს შეიძლება რთული იყოს, მაგრამ მომავალში ზოგიერთი დეპარტამენტი მართლაც შეიძლება გარდავქმნათ სხვა სტრუქტურად.

ნახევარი, ერთი წლის შემდეგ ბევრი სამთავრობო სტრუქტურა შეიცვლება და კომპანიების, ჰოლდინგების და სხვა სტრუქტურების ფორმას მიიღებს. ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ დღეს უბრალოდ დეპარტამენტის გამოცხადება კომპანიად არაფერს არ მოგვცემს. ჯერ მათი საქმიანობის შინაარსი უნდა გახდეს თვისებრივად სხვაგვარი, მერე მათი სახელწოდებაც შეიცვლება და ფუნქციაც.

ყოველგვარ გარდაქმნას თავისი დრო აქვს, თავისი ნიადაგი და ბაზა სჭირდება.

წინა მინისტრთა კაბინეტს და ახალ მინისტრთა კაბინეტს, სტრუქტურის რეფორმების მიუხედავად, რადიკალურ განსხვავებათა ფონზე მემკვიდრეობითობაც ახასიათებთ.

სამინისტროს ძირითადი ფუნქცია უნდა გახდეს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარების სტრატეგიის გამომუშავება და წარმართვა. ამ მხრივ ჩვენი შეხედულება და ჩვენი ფილოსოფია წინა კაბინეტის თვალსაზრისისაგან არ განსხვავდება. ეს პრობლემა ამგვარად ესმოდა წინა კაბინეტის ხელმძღვანელობასაც, მაგრამ სათანადო დონეზე ვერ ახორციელებდა.

მართვის ერთადერთი ფორმა უნდა გახდეს მაკროეკონომიკურ და მაკროსოციალურ პირობათა ფორმირება.

სამინისტრომ თავის სისტემაში უნდა შექმნას თავისუფალი და შემოქმედებითი შრომის მაქსიმალური პირობები, უზრუნველჰყოს ამ პირობათა ხელშემწყობი საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინტელექტუალური და ინფორმაციული ბაზის შექმნა.

ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში, ინდივიდუალური თავისუფლების და აქტივობის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღრიცხვიანობას. ეს ჩვენი საქმიანობის ყველაზე სუსტი და ყველაზე ჩავარდნილი უბანია.

ჩვენ, სამწუხაროდ, არც ვიცით რა გაგვაჩნია ქვეყანაში, რა გადაურჩა დატაცებასა და განიავებას, რას წარმოადგენს ჩვენი ეკონომიკა. მინისტრთა კაბინეტმა უნდა მიხედოს ამ საქმეს.

საჭიროა ანგარიშგებისა და ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის საიმედო სისტემათა ჩამოყალიბება. პრინციპულად უნდა გარდაიქმნას შესაბამის სამსახურთა ორგანიზაცია, ფუნქციონირების ფორმები და ამოცანები.

სამინისტროს სტრუქტურა მნიშვნელოვანწილად უნდა განთავისუფლდეს მყიფე ვერტიკალური დაყოფისაგან, რაც შესაბამისი მინისტრის მოადგილეების ინსტიტუტის არსებობას განსაზღვრავდა.

სამინისტროს შიდა სტრუქტურა, ჩვენი წარმოდგენით, არსებითად უნდა შეიცვალოს.

ახალ სტრუქტურაში მინისტრი, კომიტეტის თავმჯდომარე, დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხდება რეორგანიზაციისა და რეფორმების მთავარი იდეოლოგი და მთავარი უზრუნველმყოფი პირი, მთავარი ორგანიზატორი.

მინისტრის მოადგილის ინსტიტუტის ნაცვლად შემოგვაქვს ვიცე-მინისტრის ინსტიტუტი.

ვიცე-მინისტრი ცვლის მინისტრს მისი არყოფნისას, იმავე დროს ხელმძღვანელობს სამინისტროს სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებს.

საჭიროა სამინისტროს გააჩნდეს თანაშემწეთა, მრჩეველთა, ექსპერტთა მობილური კორპუსი. არა დიდი, არა მრავალრიცხოვანი, იმდენი, რამდენიც საჭიროა.

მე აქ მოგახსენებთ სამინისტროების სტრუქტურაზე, დანიშნულებაზე და ა. შ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ყველაფერი კანონად გამოვაცხადოთ. არ არის საჭირო წვრილმანი მეურვეობა.

მინისტრთა კაბინეტი ფუნქციონირებს ხელისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე. ის არის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლების უზენაესი ორგანო.

არ შეიძლება ჩვენ, პარლამენტმა როგორც ამას მოითხოვს აქ წარმოდგენილი ზოგიერთი ალტერნატიული პროექტი, ყველაფერი ინსტრუქციის დონეზე დავუმუშაოთ მინისტრთა კაბინეტს, სამინისტროებს, ჩავაბაროთ მათ და ვუთხრათ: — აქ ყველაფერი წერია, წაიკითხეთ და იხელმძღვანელეთ! არ გაბედოთ გადაუხვიოთ მას!

ეს, სხვათაშორის, საკითხისადმი ძველებური, საბჭოური მიდგომაა.

მას არაფერი აქვს საერთო ხელისუფლების შესახებ კონსტიტუციურ კანონთან, მსოფლიო პრაქტიკასთან.

ჩვენ უნდა შევქმნათ მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურა, ჩამოვაყალიბოთ ძირითადი მიმართულებები, უნდა განვსაზღვროთ ძირითადი ფუნქციები, შემდეგ საქმე უნდა მივანდოთ იმათ, ვისაც დავნიშნავთ და დავამტკიცებთ საკვანძო უბნებზე და უნდა მოვთხოვოთ კიდეც, როგორ უნდა გაატარონ ის კურსი, რომელსაც პარლამენტი განსაზღვრავს ამა თუ იმ მიმართულებით, კერძოდ, რეფორმების განხორციელების სფეროში.

მაგრამ პარლამენტს თავისი ფუნქციები გააჩნია და მინისტრთა კაბინეტს თავისი. მათი გამიჯვნაა საჭირო და არა აღრევა.

პარლამენტს არცა აქვს უფლება მინისტრთა კაბინეტის მოღვაწეობის ყველა წვრილმანში ჩაერიოს. ეს ეწინააღმდეგება ხელისუფლების შესახებ კანონს.

ლაპარაკია არა ცალკეულ „პარლამენტართა დიქტატურაზე", არამედ კანონის დიქტატურაზე.

ვისაც არ ესმის, რომ საჭიროა ხელისუფლების შტოთა შორის ფუნქციების კონსტიტუციური კანონის საფუძველზე გამიჯვნა, ჩაურევლობა ერთმანეთის ფუნქციებში, მას დემოკრატიის საფუძვლები ცუდად ესმის.

მე ამას ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის გასაგონად ვამბობ.

ახალი სამინისტროები და დეპარტამენტები ფუნქციონირებენ ახალ ისტორიულ სიტუაციაში, რადიკალური ეკონომიკური რეფორმების პირობებში, გარდაქმნიან ეკონომიკას, მეურნეობას, სოციალურ-კულტურულ გარემოს და თვითონაც უნდა შეიცვალონ ამ გარდაქმნის შესაბამისად.

იცვლება პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა, იცვლება საზოგადოება, ბუნებრივია, სახელმწიფო და ყველა მისი ატრიბუტიც იცვლება.

მეტად საინტერესოდ დგას დღეს სახელმწიფოს, პარლამენტის, მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკურ პრობლემებთან დამოკიდებულების საკითხი.

დღეს სულ სხვა ეკონომიკასთან გვაქვს საქმე.

თავისუფალი ეკონომიკური სისტემის ცენტრალური ფიგურაა მეწარმე.

ძლიერდება კერძო სექტორი. აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულებას იღებს ქვეყანაში შექმნას ინდივიდუალური შრომითი აქტივობის მაქსიმალური ხელშეწყობის, სამეურნეო ინიციატივის პირობები, შექმნას ასეთი ხელშეწყობის მატერიალური, ორგანიზაციული ინტელექტუალური გარემო, მაგრამ ეს დაპირება ცარიელ სიტყვებად არ უნდა დარჩეს.

უნდა გაიმიჯნოს არა მარტო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ფუნქციები, არამედ სახელმწიფო და კერძო სექტორი; საქმის სასარგებლოდ და არა საზიანოდ, როგორც ეს ხშირად ხდება.

მთავრობის სტრატეგიული კურსი იქეთკენ უნდა იყოს მიმართული, რომ სახელმწიფო მფლობელობაში დარჩეს ის სამეურნეო ერთეულები, რომელთა სხვაგვარად არსებობა და ფუნქციონირება არარაციონალურია. და მხოლოდ ეს ფორმა შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესებს. მათ უნდა წარმოშვან ახალ ნიადაგზე, ახალი ფუნქციებით ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებული.

ახალი პოლიტიკა მოითხოვს ახლებურ აზროვნებას, ახალ ფსიქოლოგიას, სხვაგვარ ინტელექტუალურ დატვირთვას.

სამინისტროებში, დეპარტამენტებში, კორპორაციებში, ინსპექციებში სამუშაოდ უნდა მივიწვიოთ გამოცდილ სახელმწიფო მოხელეთა გვერდით ბიზნესმენები, კომერსანტები, მენეჯერები, ფერმერები, საქმის ხალხი.

მოვიწვიოთ, სახელმწიფო მართვის სისტემაში ჩავრთოთ, ვისაც საბაზრო ეკონომიკა ესმის, — განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ვინც განათლება მიიღო დასავლეთის თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში, ვინც იქ დაეუფლა ბიზნესის ხელოვნებასა და მეცნიერებას.

კრიზისის დაძლევა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება ჩვენთან ბიზნესი, ბიზნესის განვითარება კი მინისტრთა კაბინეტის უმთავრესი საქმეა. ამ გზით მივაღწევთ ეკონომიკურ აღორძინებას.

სამინისტროებისა და წარმოებების ურთიერთობა უნდა დაეყრდნოს საბაზრო, საკონტრაქტო პრინციპებს.

ასეთივე პრინციპზე უნდა ავაგოთ დამოკიდებულება სამინისტროებსა და რეგიონულ მმართველობას შორის. უნდა ამაღლდეს კონტრაქტების როლი.

საკონტრაქტო პრინციპი ფართოდ უნდა დაინერგოს ყველა საწარმოში, ყველა სტრუქტურაში, მართვისა და წარმოების ყველა იერარქიულ დონეზე.

სამინისტროებისა და უწყებების ურთიერთობა სახელმწიფო საწარმოებთან, კერძო სექტორთან, მცირე, საშუალო და დიდ ბიზნესთან, კომერციულ სტრუქტურებთან უნდა ხორციელდებოდეს კანონის, კანონქვემდებარე აქტებისა და კონტრაქტების საფუძველზე.

მე კონტრაქტების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და როლს ხაზს იმიტომ ვუსვამ, მიმაჩნია, რომ ჩვენ დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ და ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუ საკონტრაქტო ურთიერთობათა სისტემა არ განვითარდება.

დღეს ჩვენ უნდა გავაფორმოთ ორმხრივი საკონტრაქტო ვალდებულებები. განვსაზღვროთ კონტრაქტების საფუძველზე რას ვასრულებთ, მაგალითად, რაიონების, ქალაქების წინაშე იმის გათვალისწინებით, თუ რა შეუძლიათ რეალურად სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებს, რომლებიც თანამშრომლობენ სახელმწიფოსთან — მიაწოდონ რეგიონებს კვების პროდუქტების, სამრეწველო საქონლის თუ სხვა პროდუქციის სახით. თავის მხრივ ქალაქებმა, რაიონებმა უნდა აიღონ საკონტრაქტო ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ანგარიშს ვერ გავუსწორებთ, ვალს ვერ გადავუხდით საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანას, — მათ შორის, მაგალითად, თურქმენეთს, რომელიც გაზს გვაწვდის, — თუ ასეთი სისტემა არ იქნება აწყობილი. მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება.

დღეს, სამწუხაროდ, სავარაუდო ანგარიშებზე არის აგებული ჩვენი ხელშეკრულებები.

ჩვენ პარტნიორებს ვეუბნებით: აი, გაზის საფასურად მოგაწვდით 20-30 ათას ტონა ჩაის, კონიაკს, ღვინოს და ა. შ. სინამდვილეში, როცა საქმე საქმეზე მიდგება უშუალოდ, აღმოჩნდება, რომ რეზერვები სერიოზულად დაანგარიშებული არა გვაქვს. იქ, სადაც იქმნება ეს პროდუქცია, ამ კონტრაქტების შესახებ არაფერი იციან. ეს კი დაუშვებელია. ეს სახელმწიფო პოლიტიკის დონე არ არის.

ახალ საფუძველზე უნდა გადავიდეს ურთიერთობა რაიონებთან, ქალაქებთან, საწარმოებთან, კერძო სექტორთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან. სხვა შემთხვევაში ჩვენ ვერ გამოვძვრებით თავს და აღმოვჩნდებით კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში, ვიდრე ვართ. სწორედ ამიტომ საკონტრაქტო სისტემას ვაძლევ მე პრინციპულ მნიშვნელობას.

ჩვენ დღეს გვაქვს განვითარებადი ქვეყნის გარდამავალი ტიპის შერეული ეკონომიკა. მას ფაქტობრივად ოთხი სექტორი გააჩნია. პირველი. სახელმწიფო სექტორი; მეორე. სახელმწიფო და კერძო, შერეული ეკონომიკის სექტორი; მესამე. თავისუფალი საბაზრო სექტორი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ასრულებს სერიოზულ როლს, და მეოთხე. — ეს არის ჩრდილოვანი ეკონომიკა, საკმაოდ მძლავრი, სექტორი, რომელსაც მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე საკმაოდ დიდი გავლენა აქვს, მაგრამ მის არსებობაზე ჯერ არავინ ფიქრობს. ეს სახელმწიფოს საფიქრალია. მინისტრთა კაბინეტი ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

თუ როგორ მოხდა ის, რომ შეიქმნა ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელ ეპოქაში და როგორ პირობებში ეს სხვა ამბავია.

დღეს ეს არის ჩვენი რეალობა და მე მინდა ეს საკითხი დავაყენო საპარლამენტო კომისიების, სამინისტროების, მინისტრთა კაბინეტის წინაშე, საერთოდ ყველა მოქალაქის წინაშე, მათ შორის იმ მოქალაქეთა წინაშე, ვინც ამ სექტორს რეალურად ეკუთვნის.

საჭიროა ოთხივე სექტორის მოვლა. საბოლოო ჯამში თავისუფალი ბაზრის სექტორი უნდა დამკვიდრდეს, მაგრამ გარკვეულ ეტაპებზე ოთხივე სექტორთან გვექნება საქმე.

ეს დებულება მარტო კონსტატაციისათვის როდია განკუთვნილი. მინისტრთა კაბინეტმა უნდა შეძლოს თითოეული სექტორის დღევანდელი მდგომარეობის ღრმა ანალიზი და განსაზღვროს სახელმწიფოს ამოცანები ამ დარგში.

მთავრობის ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ სამთავრობო პოლიტიკური კურსი გასაგები და მისაღები იყოს პარლამენტისათვის, ქვეყნისათვის.

ვფიქრობთ, მინისტრთა კაბინეტში ერთ-ერთ ვიცე-პრემიერს უნდა დაევალოს პარლამენტთან აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობის კოორდინირება, განსაკუთრებით კანონშემოქმედების დარგში.

მე თავის დროზე ამ იდეას ვაყენებდი სხვა მოდულაციით, ვამბობდი, იქნებ ეს ფუნქცია დავაკისროთ სახელმწიფო მინისტრის რანგის მქონე მოხელეს. მრავალი პარლამენტარი მაშინ ამაში არ დამეთანხმა.

დღეს მე კვლავ ვაყენებ ამ იდეას.

თუ ჩვენ ვინარჩუნებთ ვიცე-პრემიერების ინსტიტუტს, ურთიერთობა პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს შორის იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად აქტუალურია პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტრუქციული თანამშრომლობა, რომ მე, მაგალითად, ხმას მივცემ იმას, რომ იყოს სპეციალური ვიცე-პრემიერიც კი, რომელიც სხვა გარკვეულ ფუნქციებსაც შეითავსებს, მაგრამ ძირითადად ამ პრობლემაზე იმუშავებს.

რამდენადაც დაჩქარდება კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რამდენადაც ადრე შევქმნით ჩვენ სამართლებრივ ბაზას საბაზრო ეკონომიკისათვის, მით უფრო ჩქარა მოხდება გარდატეხა.

საჭიროა მინისტრთა კაბინეტის სისტემატური და კონსტრუქციული მუშაობა პარლამენტის კომისიებთან. ეს ურთიერთობა ხელს უნდა უწყობდეს მეტი ურთიერთგაგების, სინქრონულობის უზრუნველყოფას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის.

მინისტრთა კაბინეტის სხვადასხვა რანგის მუშაკები პარლამენტის იშვიათი სტუმრები კი არ უნდა იყვნენ.

ვიცე-პრემიერების, მინისტრების მონაწილეობა პარლამენტის კომისიების სხდომებში, ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს.

ეს ფრაზად არ უნდა დარჩეს, ასე უნდა ავაგოთ მუშაობა.

აქვე მე იმის თქმაც მინდა, რომ ცოტა უფრო დინამიურად ვიმუშაოთ თვითონ პარლამენტის სტრუქტურების სრულყოფისათვის, რაც შეიძლება დავაჩქაროთ ეს პროცესი. ვიცი, რომ სათანადო კომისია მუშაობს. კომისიის ბევრი მოსაზრების შესახებ მე მაქვს წარმოდგენა და თუ პარლამენტის მუშაობის სრულყოფის პროცესი მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის სრულყოფის პარალელურად წარიმართება, ჩვენი საქმე მოიგებს.

საჭიროა უზენაესი საკანონმდებლო და აღმასრულებელ-განმკარგულებელ ხელისუფლებათა არა დაპირისპირება, არა მათ შორის კონფლიქტები, არამედ კონსტრუქციული თანამშრომლობა.

საჭიროა მათი ფუნქციების გამიჯვნა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ პარლამენტმაც და მინისტრთა კაბინეტმაც, სახელმწიფოს მეთაურმაც შეთანხმებულად, საერთო ძალისხმევით უკეთ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ხალხის წინაშე.

ხელისუფლება ერთია, მაგრამ ხალხს რომ უკეთ ემსახურონ, ამიტომ ფუნქციონირებენ ისინი ცალ-ცალკე. ხელისუფლების ყველა შტოს შორის უნდა ვეძიოთ კონსენსუსის გზები და კონსტრუქციული თანამშრომლობა.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომელსაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი და რაც ჩვენ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

ეს არის პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს შორის ერთგვარი დაპირისპირების, კონფრონტაციის გამოვლინება.

მსგავსი რამ რომ არ გამეორდეს, საჭიროა მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის სათანადო სტრუქტურებს შორის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თანამშრომლობა, კონსენსუსი.

მინისტრთა კაბინეტს უნდა ვეხმარებოდეთ ყველანი. დაპირისპირებამაც გამოიწვია წინა მინისტრთა კაბინეტის წარუმატებლობა. მინისტრთა კაბინეტი უფრო მგრძნობიარე უნდა ყოფილიყო პარლამენტის კრიტიკის მიმართ.

ისიც უნდა ითქვას, პარლამენტმა ეს უნდა იცოდეს, **რომ მინისტრთა კაბინეტის დამარცხება პარლამენტის გამარჯვება არ არის.** ეს რომ ასე არ იყოს, პარლამენტის პოლიტიკური რეიტინგი საქართველოში ახლა სხვა დონეზე იქნებოდა.

მე როცა პარლამენტს ვახსენებ, ჩემს თავს ვგულისხმობ პირველ რიგში და ამიტომ უფრო გაბედულად ვამბობ სათქმელს.

დაპირისპირებით, კონფრონტაციით დღეს საქართველოში ავტორიტეტს ვერ მოიხვეჭ. ყველამ უნდა გავიაროთ ის დიდი სკოლა, თუ როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან კონფრონტაციისა და დაძაბულობის გარეშე. ამიტომ ლაპარაკი ე. წ. „შემოდგომის მთავრობაზე", დროებით მთავრობაზე უპასუხისმგებლობაა და ჩემი აზრით, სრულიად ულოგიკო და გაუმართლებელი.

მთავრობის ხშირი გამოცვლით ეკონომიკა ვერ გაჯანსაღდება. ჩვენ ძლიერი, მყარი, სტაბილური მინისტრთა კაბინეტი გვინდა.

ახალი მინისტრთა კაბინეტი, რომელიც კაბინეტური სისტემით იმუშავებს, უნდა წარმოადგენდეს მართვის ერთიანი იდეოლოგიის, სოციალურ სისტემათა ორგანიზაციის დარგში საერთო მსოფლმხედველობრივი პრინციპების, საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტირების მქონე პოლიტიკურ დასს, პოლიტიკურ გუნდს. ასეთია მსოფლიო გამოცდილება.

ახალი მინისტრთა კაბინეტის კონცეფციის თანახმად დაუშვებელია კაბინეტში ისეთი ხელმძღვანელის არსებობა, რომელიც არ იზიარებს საერთო წარმოდგენებს. მთავრობის წევრმა, მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა, რომელიც პრინციპულ უთანხმოებაშია კაბინეტის მიერ დეკლარირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ კურსთან, უნდა დატოვოს კაბინეტი.

ასეთია საერთაშორისო პრაქტიკა.

ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს მართვის ქმედითობას, კონკრეტულობას, მოქნილობას, რათა ოპერატიულად გარდავქმნათ ყველა ორგანიზაციული სტრუქტურა შექმნილი მდგომარეობისა და რეალობის შესაბამისად.

როგორც ვთქვით, მინისტრთა კაბინეტი იმუშავებს კაბინეტური სისტემით. ეს, ერთი მხრივ, გულისხმობს ძველი ფორმების, მეთოდების, სტრუქტურების ეტაპობრივ, ლოგიკურ უარყოფას, მეორე მხრივ, სხვა ქვეყნების მინისტრთა კაბინეტების გამოცდილების შემოქმედებითად ათვისებას.

ახალ მთავრობას უახლოეს მომავალში მოუწევს მინიმუმ სამი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა:

პირველი. ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის, ინფლაციის, ენერგეტიკული კრიზისის, კვების პროდუქტების დეფიციტის აღმოფხვრის, კუპონის კურსის ამაღლების, შიმშილის დაძლევის, სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩენილი ფენების სოციალურად დაცვის, ხელფასის ამაღლების, გარკვეულ პროდუქტზე ფასების რეგულირებისა და იმავდროულად ფასების ლიბერალიზაციის, ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების ქმედითი პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება.

მეორე. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეკონომიკურად მისაღები ზღვრებით დაბალანსება და ბიუჯეტის სწრაფად წარმოდგენა პარლამენტში. ეს ძნელია, მაგრამ უნდა გავაკეთოთ.

(დასასრული მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურის შესახებ

(დასასრული)

მესამე. ხელისუფლებამ უახლოეს დროში უნდა წარმოადგინოს ეროვნული ხსნის პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, საგანგებო ღონისძიებათა კომპლექსი. ასეთი მუშაობა მიმდინარეობს და ის უნდა დაიჩქარდეს.

ხამივე სტრატეგიული მიმართულებით საქმიანობის გაშლა გადაუდებელი ამოცანაა.

ეკონომიკური რეფორმების მომზადება და განხორციელება ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის გენერალური კურსია.

პირადად მე, ვფიქრობ, ეს არავის ეჭვს არ უნდა იწვევდეს, — რადიკალური ეკონომიკური რეფორმების პოზიციაზე ვიდექი მუდამ და ვდგავარ ახლაც.

როგორ უნდა განვახორციელოთ რადიკალური რეფორმები? უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიითა და ტაქტიკით.

საბაზრო ეკონომიკაზე აურზაურითა და ქაოსით გადასვლის მცდელობა სერიოზული პოლიტიკა არ არის.

ამით ჩვენ ძველი ეკონომიკა დავანგრიეთ და ახალი ვერ ავაშენეთ. იმავე დროს მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ნიჰილისტურ პოზიციაზე არ ვდგავართ.

არც ერთი კანონი, არც ერთი დებულება, არც ერთი დეკრეტი არ დაკარგავს თავის ძალას, რომელიც პოპულიზმით, დემაგოგიით, ვიწრო პარტიული იდეოლოგიით და ინტერესებით არ არის ნაკარნახევი. ყველა დოკუმენტი შეინარჩუნებს თავის ღირებულებას, რომელიც ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, სამართლებრივ სახელმწიფოს აშენებას.

თანამედროვე სიტუაციაში არსებობს პირობები, რომ ხელისუფლებამ ღირებული რეალური პოლიტიკა განახორციელოს, მაგრამ ხშირად პოპულიზმი, იაფი ავტორიტეტის მოხვეჭის, ქულების დაგროვების სურვილი — ქვეყნის, ერის ინტერესებზე მაღლა დგება.

ეს, სამწუხაროდ ცუდი მოვლენაა, პოლიტიკის ყველა სფეროში, მაგრამ მთლად საშინელებაა, უბედურებაა, როცა პოპულიზმი, დემაგოგია, დილეტანტიზმი ფეხს მოიკიდებს ეკონომიკურ პოლიტიკაში. ის მაშინ მთელი ერის, ყველა ოჯახის კეთილდღეობას ემუქრება, მას ხალხი მიჰყავს სილატაკისა და გაჩანაგებისაკენ. სამწუხაროდ, დღეს უკვე გვაქვს ასეთი ფაქტები. ამ მხრივ მინისტრთა კაბინეტის წინა შემადგენლობა სერიოზულად სცოდავდა.

ეკონომიკურ რეფორმებზე მთელმა ერმა, მთელმა ქვეყანამ უნდა იმსჯელოს, ხალხის ნებამ და სურვილმა უნდა გაიმარჯვოს.

მაგრამ, საუბედუროდ, რეფორმების სფეროში ზოგჯერ ლამის კანონმდებლებად გვევლინებიან პირები, რომლებსაც ეკონომიკურ გარდაქმნებზე უკეთეს შემთხვევაში იაფფასიანი საგაზეთო სტატიებით აქვთ შექმნილი წარმოდგენა, ანდა უცხოური საინფორმაციო ბიულეტენებიდან გადმოქართულებულ ტექსტებს გვთავაზობენ.

ეს ტენდენციები უნდა დავძლიოთ. ალბათ, ასეთი მოვლენები ბუნებრივია რეფორმების პირველ ეტაპზე, მაგრამ ეს სენი მომდევნო ეტაპზე უნდა მოვიშოროთ. ჩვენ დილეტანტებს ვერ ვანდობთ ეკონომიკურ პოლიტიკას და ეკონომიკას.

ვიმეორებ: ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების მიზნით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მართვის სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ისეთი ფუნქციების მინიჭებას, რომლებიც უპასუხებენ გარდამავალი ეტაპების თავისებურებებს, უზრუნველყოფენ ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრულ და შეუქცევად განხორციელებას.

სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა სწორად ვერ განსაზღვრეს მართვის სახელმწიფო ორგანოების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, ხოლო ძირეული რგოლებისათვის სახელმწიფო ქონების მართვაში განუსაზღვრელი უფლებების მინიჭებამ მათ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში ეკონომიკურ ქაოსამდე მიგვიყვანა.

ვერ ჩამოყალიბდა კონტროლის ის სისტემა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს ასეთ დროს. მინისტრთა კაბინეტმა პასიური პოზიცია დაიჭირა და პროცესმა გარკვეული აზრით ქაოტური ხასიათი მიიღო.

ოპოზიცია ჩვენგან მოითხოვს წესრიგის, კანონიერების დამყარებას, ძლიერი დემოკრატიული აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნას და იმავე დროს ხანდახან თავისი წინადადებებით, საპარლამენტო ობსტრუქციით, ხელს უშლის ძლიერი მინისტრთა კაბინეტის შექმნას. მსგავსი ალოგიზმი სოციალურად საშიშია.

პოლიტიკური კონსულტაციების დროს განსაკუთრებულად დაისვა პრივატიზაციის პრობლემები. ვფიქრობ, ეს სავსებით ლოგიკურია. ეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა დღეს.

მოგეხსენებათ, ეკონომიკური რეფორმა მრავალმხრივი და ურთულესი პროცესია, როგორც სისტემატური და სტრუქტურული, ისე ინსტიტუციონალური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

რეფორმის ღერძს ახალი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რამაც მაქსიმალურად უნდა გაათავისუფლოს სახელმწიფო სამეურნეო საქმიანობისა და მისი ოპერატიული მართვისაგან, მოახდინოს ეკონომიკის დეცენტრალიზება და დემონოპოლიზება, ჩამოაყალიბოს ადამიანში მესაკუთრის ფსიქოლოგია, შექმნას მესაკუთრეთა ფენები. ასეთია სტრატეგიული მიზანი, მას შესაბამისი, ეტაპებზე გათვლილი ტაქტიკა სჭირდება.

მთავრობის სტრატეგიისა და ტაქტიკის თანახმად პრივატიზაციის შედეგად, **უპირველეს ყოვლისა,** უნდა განხორციელდეს არაეფექტიანად მოქმედი სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნა ეფექტიანად მოქმედ კერძო საკუთრებად; **მეორე.** წარმოების და მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო სექტორმა გზა უნდა დაუთმოს კერძო მეწარმეობას იმ ზომით, რა ზომითაც ეს უკანასკნელი რეალურად დაამტკიცებს თავის უპირატესობებს სახელმწიფო სექტორთან შედარებით. **მესამე.** უნდა განხორციელდეს თვით სახელმწიფო სექტორის გადაყვანა საბაზრო, კომერციულ საწყისებზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით დღეისათვის პრაქტიკულად მიმდინარეობს ე. წ. მცირე პრივატიზაცია: ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტრანსპორტის, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების წვრილ საწარმოთა, აგრეთვე დაბალრენტაბელური და ზარალიანი საწარმოების კერძო სექტორში მოქცევა.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების გზაზე პრაქტიკული ნაბიჯები მიმდინარე წლის მარტიდან გადაიდგა. პროცესმა მოიცვა რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონი (გარდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საომარი ზონებისა). კონკრეტულად 1993 წლის 15 აგვისტოს მონაცემებით რესპუბლიკაში პრივატიზებულია: 119 ბენზინგასამართი ავტომატური სადგური (თანხა — 262.4 მლნ კუპონი), 122 სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტი (თანხა — 341.5 მლნ. კუპონი), 4 მცირე ჰესი (თანხა — 164.8 მლნ. კუპონი), 7 სასოფლო-სამეურნეო ობიექტი (თანხა — 21.7 მლნ. კუპონი), 2 კვების მრეწველობის ობიექტი (თანხა — 140 მლნ. კუპონი), 4344 სატრანსპორტო ერთეული (თანხა — 395.2 მლნ. კუპონი), მათ შორის აუქციონზე გაიყიდა — 73 ერთეული (თანხა — 19,2 მლნ. კუპონი) და სხვ.

სულ რესპუბლიკაში პრივატიზებულია 328 ობიექტი. ამონაგები თანხის ჯამმა შეადგინა 1 მილიარდ 315.6 მლნ, კუპონი.

მინისტრთა კაბინეტის მიერ უკვე დამტკიცებულია დაახლოებით 5000 საპრივატიზებო ობიექტი.

პარალელურად მიმდინარეობს მსხვილ საწარმოთა აქციონირების პროცესი. შექმნილია ამ პროცესის განხორციელებისათვის ძირითადი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა. უკვე დაფუძნებულია 3 სააქციო საზოგადოება. განხილვის სტადიაშია დაახლოებით 50 მსხვილი საწარმოს დოკუმენტაცია. ეს პროცესი ინტენსიურად გრძელდება.

მიმდინარეობს მუშაობა საბარათო-საინვესტიციო ფონდების ჩამოყალიბებისათვის.

პარლამენტმა და მინისტრთა კაბინეტმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პრივატიზაციას ერთგვარად აფერხებს შესაბამისი კანონების მიღების გაჭიანურებული პროცესი.

პრივატიზების უზრუნველყოფი ღონისძიებებიდან პრიორიტეტულია:

პირველი. კანონმდებლობის სრულყოფა: იჯარის, საკუთრების გამიჯვნის, საბანკო სისტემის, აქციონირების, გაკოტრების, ცეკავშირის და პროფკავშირების ქონების განკარგვის შესახებ და სხვ. კანონების მომზადება, მიღება, კანონებში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

მეორე. სასწრაფოდ უნდა დამტკიცდეს პრივატიზებიდან ამონაგები თანხების მიზნობრივი განაწილების სქემა. საკითხი პარლამენტს განსახილველად უნდა წარმოუდგინოს მინისტრთა კაბინეტმა. აღნიშნული თანხები უმოძრაოდაა და ინფლაციის პირობებში ისინი კატასტროფულად გაუფასურდება. არ უნდა გაჭიანურდეს ამის მოგვარება;

მესამე. როგორც ვთქვი, „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონში დამატებების და ცვლილებების შეტანა აუცილებელია. პროექტი მომზადებულია. შესაბამისმა კომისიებმა უნდა დააჩქარონ მისი შემოტანა. თუ არა და მაშინ პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ დეკრეტის გამოცემით.

მეოთხე. საჭიროა 1994 წლის სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროგრამის განხილვა და მიღება;

მეხუთე. აუცილებელია სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგების განხილვა-შეფასება, ახალი ღონისძიებების დასახვა. ეს მინისტრთა კაბინეტში უნდა გაკეთდეს;

მეექვსე. პრივატიზების პროცესში მონაწილეობის მისაღებად უცხოელი ინვესტორების მოზიდვის პროგრამის შემუშავება და დამტკიცება;

მეშვიდე. აჭარის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში პრივატიზების პროცესის წარმართვის ერთიანი პოლიტიკის გატარების პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა დაინტერესებულ უწყებებთან და ადგილობრივ ხელმძღვანელებთან ერთად;

მერვე. საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) გაცემა, სექტემბერი ჯერ მოგვარდა. ძალიან დიდი სამუშაო ელოდება მინისტრთა კაბინეტის სათანადო სტრუქტურებს.

აუცილებელია პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი პრივატიზების პროცესის მიმდინარეობის სისტემატური რეკლამირება და პროპაგანდა.

პრივატიზაციის პროგრამა მიზნად ისახავს სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად გარდაქმნას, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციას, მეურნეობის ყველა ძირითად დარგებში სახელმწიფოს მონოპოლიის ლიკვიდაციას, საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრებას, საბაზრო მეურნეობაზე რეალურად გადასვლას; ბიზნესის განვითარებას და ეკონომიკური სისტემის მთლიანად შეცვლას, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არარენტაბელური საწარმოების პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის განთავისუფლებას ზედმეტი დოტაციისაგან, საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრებით მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში რეალური მეურნეობრიობის დამკვიდრებას და მაღალმწარმოებლური შრომის მოტივაციის შექმნას; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განთავისუფლებას მათთვის არადამახასიათებელი ფუნქციისაგან — მეურნეობრიობისაგან, უცხოური ინვესტიციების, უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში და სხვა.

განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს საბანკო სისტემის პრივატიზების (აქციონირების) საკითხი. მე მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა, ცენტრალური პრობლემაა დღეს. ჩვენ წინ სერიოზულად ვერ დავძრავთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საქმეს, თუ ეს რეფორმა გაჭიანურდება.

მისაღებია გადაწყვეტილება სოფლად საზოგადოებრივი მეურნეობების რეორგანიზაციის შედეგად დარჩენილი ქონების სასწრაფოდ პრივატიზების შესახებ, რადგანაც იგი ყოველდღიურად იძარცვება და ნადგურდება. ამაზე ბევრჯერ ითქვა, მაგრამ საქმე წინ მაინც არ დაიძრა. უნდა დამთავრდეს ეს განუკითხაობა.

პრივატიზაციის პროგრამა დაჩქარებულად უნდა განხორციელდეს. ეს პარლამენტის, მთელი ხელისუფლების და მათ შორის სახელმწიფოს მეთაურის გადაუდებელი ამოცანაა. ამ პრობლემის გადაჭრაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.

თუ ვილაპარაკებთ პრივატიზაციის პროცესზე, საერთო შთაბეჭდილების მიხედვით, შეიძლება ითქვას შემდეგი:

სახელმწიფო სტრუქტურები მხოლოდ ნომინალურად ითვლებიან სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოებად და თითქმის არავითარი უფლებები არ გააჩნიათ, რომ ზემოქმედება მოახდინონ მის ეფექტიან გამოყენებაზე, თუმცა ამ საკითხებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მე არა მაქვს მხედველობაში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, მე სხვა სამთავრობო სტრუქტურებს ვგულისხმობ.

სახელმწიფომ ხელიდან გაუშვა რა საკუთარი ქონების მართვის სადავეები, ვეღარ ახერხებს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და საერთო-სახალხო პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო რესურსების ფორმირებას, ხოლო ეკონომიკურ სფეროში დანერგილი და ამოქმედებული არ არის მეტნაკლებად თვითრეგულირებადი მექანიზმი.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი და სადღეისო ამოცანაა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მინიმალურ დონეზე მაინც.

ხელისუფლება, პასუხისმგებელია რა ხალხის ცხოვრების მდგომარეობაზე, ერის სოციალურ დაცვაზე, ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქონების ეფექტიანი გამოყენება არა სამეურნეო სუბიექტთა თავისუფლების დეკლარირებით და შესაბამისად საკუთარი პასუხისმგებლობის მოხსნით, არამედ ამ ქონების რაციონალური გამოყენებით, მის მართვაში საბაზრო მექანიზმის დანერგვის შედეგად მაქსიმალური უკუგების მიღებით.

სწორედ ამ მდგომარეობიდან უნდა განისაზღვროს მართვის ცენტრალური დარგობრივი ორგანოების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები მიმდინარე ეტაპზე.

მხოლოდ ახალი ტიპის მინისტრთა კაბინეტი დაძლევს კრიზისს.

მე ისევ ვუბრუნდები რეფორმის პერიოდში სამინისტროების როლის გარდაქმნის საკითხს.

მიმაჩნია, რომ დარგობრივ სამინისტროებს გარდამავალ ეტაპზე უნდა მიენიჭოთ შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

— დარგში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, დარგის სტრუქტურული რაციონალიზაცია;

— სახელმწიფოს ხელში დარჩენილ აქციათა პაკეტით საწარმოთა მართვაში მონაწილეობა;

— სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა განვითარების გეგმების განხილვა და დამტკიცება, მათი შესრულების კონტროლი;

— სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა ბიუჯეტების განხილვა და დამტკიცება, მათ მიერ მსხვილ კომერციულ, ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებზე ნებართვების გაცემა;

— სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებში მმართველთა (მენეჯერთა) კანდიდატების შერჩევა და დანიშვნა, შესაბამისი რეზერვის ფორმირება;

— სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებებით მისაღები ნედლეულისა და რესურსების ბალანსების ფორმირება, მიღებული რესურსების განაწილება, მიღების ორგანიზაცია, სხვა სახელმწიფოსათვის მისაწოდებელი რესურსების ფორმირება, მიწოდების ორგანიზაცია და კონტროლი;

— დარგში საგარეო ეკონომიკური საკითხების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია;

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, პრივატიზაციის, ფასწარმოქმნის, ანტიმონოპოლიური და სხვა საკითხების ხელმძღვანელობა;

— კერძო სექტორის განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა, პასუხისმგებლობა ამ საკითხზე, მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა. ერთ-ერთი კრიტერიუმი, საზომი სამინისტროს მუშაობისა უნდა იყოს ის, თუ როგორ ვითარდება კერძო ბიზნესი იმ სისტემაში, რომელსაც ასე თუ ისე არეგულირებს ესა თუ ის სამინისტრო, ესა თუ ის სამთავრობო სტრუქტურა;

— გეოლოგიურ-საძიებო საქმეში სახელმწიფო შეკვეთის ფუნქცია და ა. შ.

ძირითადად ამავე პრინციპებზე უნდა აიგოს დეპარტამენტების საქმიანობაც დეპარტამენტთა სპეციფიკის გათვალისწინებით.

ასეთია თანამედროვე ფუნქციონალური სამინისტროს მოდელის ძირითადი პარამეტრები. რა თქმა უნდა, ეს მთლად კლასიკური მოდელი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი, წინ გადადგმული ნაბიჯია საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

გვთავაზობენ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის გაუქმებას, უფრო სწორად მის შეერთებას ვაჭრობის სამინისტროსთან. არის სხვა მოსაზრებებიც.

მე ამ აზრს ვიზიარებდი ამ ორი-სამი თვის წინ. საჯაროდაც გამოვთქვი ეს მოსაზრება, მაგრამ ახლა, როცა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის დარგში გარკვეული გამოცდილება დაგროვდა, მე მგონი, ასეთი გადაწყვეტილება ნაჩქარევი იქნება.

ეს დებულება ნათელი რომ იყოს, შევეცდები მოგახსენოთ, თუ როგორ მესახება მე ამ კომიტეტის საქმიანობა.

თქვენ კარგად იცით, ისეთი მცირერესურსიანი ქვეყნისათვის, როგორიც არის საქართველო, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა ამ ეტაპზე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ, განსხვავებით სხვა სამინისტროებისაგან და უწყებებისაგან, მე დეტალურად შევაჩერებ თქვენს ყურადღებას საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის ფუნქციებზე. ამ კომიტეტს მოეთხოვება:

— საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარების კონცეფციის ფორმირებისა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესახებ წინადადებათა შემუშავება და მისი განხორციელების ორგანიზაცია; ჩატარებული მუშაობის ანალიზი და შეჯამება;

—საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან (მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გაეროს ეკონომიკური ორგანიზაციები და სხვა) მჭიდრო ურთიერთობის დამყარება.

ბევრია ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებსაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ჩვენთვის, მაგრამ ამ შესაძლებლობებს ჯერჯერობით ვერ ვიყენებთ.

საქართველომ ამ წლის ბოლოს უნდა მიიღოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი. ეს დამატებითი რეზერვი იქნება კიდევ იმისათვის, რომ ქვეყანამ შეავსოს თავისი სავალუტო და მატერიალური რესურსები. ამაზეც სერიოზული ფიქრი და ზრუნვაა საჭირო.

კომიტეტს ეკისრება: საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში ჩაბმული საქართველოს უწყებების საქმიანობის კოორდინატორის როლის შესრულება, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა, ყველა საგარეო ეკონომიკური პროგრამის რეალიზაცია და სხვ.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს:

— სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად საკუთრების ფორმისა) და მეწარმეთა მიერ საგარეო ბაზარზე სახელმწიფო ინტერესების დაცვის კონტროლი, მათი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაცია;

— საქართველოს სავალუტო ფონდის შევსება, კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა და მათი რეალიზაცია;

სავალუტო ფონდზე ზრუნვა ჩვენ უმაღლეს რანგში, უმაღლეს დონეზე უნდა ავიყვანოთ.

იმ ფონდით, რაც ჩვენ დღეს გაგვაჩნია, ქვეყანა ვერ იარსებებს. უკეთეს შემთხვევაში ეს არის ხან მილიონი, ხან 2 მილიონი, ხან 3 მილიონი დოლარი. ეს სულის ამოთქმის საშუალებაც არ იძლევა. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რესურსები სრულად იყოს მობილიზებული და კრიზისის პირობებში ხალხს აუცილებელი პროდუქტების რამდენიმე თვის მარაგი მაინც გააჩნდეს.

აი ამ წინადადებების შემუშავება, საერთაშორისო ბაზარზე კონიუნქტურის შესწავლა, იმ პრობლემის გადაჭრა, რომ ჩვენი პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს, — ამ კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, მისი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს.

გარდა ამისა საჭიროა:

— სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების განსაზღვრის დარგში წინადადებათა მომზადება, უცხოური ინვესტიციების ქვეყნის ეკონომიკაში მოზიდვისა და რეალიზაციისათვის ხელშეწყობა;

— მსხვილი საგარეო ეკონომიკური პროექტებისა და პროგრამების კომპლექსური ექსპერტიზის ორგანიზაცია;

— საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგადასახადო შეთანხმებების, უცხოური კრედიტების მიღებისა და სახელმწიფო კრედიტების გაცემის თაობაზე სამთავრობათაშორისო შეთანხმებებისა და ოქმების მომზადება და ხელმოწერა;

— მსოფლიო სასაქონლო ბაზრების კონიუნქტურის შესწავლა და განვითარების ტენდენციების პროგნოზირება, საგარეო ეკონომიკურ კავშირებში საქართველოს მხრიდან მონაწილეთა მეთოდოლოგიური, საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა — ფასების, სავალუტო-საფინანსო, საკრედიტო და სამართლებრივ საკითხებში;

— ძირითად საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციაზე (მათ შორის სახელმწიფო სავალუტო სახსრებით შესყიდულ პროდუქციაზე) საგარეო სავაჭრო ფასების დონის კონტროლი;

— საქართველოს ტერიტორიაზე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება;

— საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საგარეო ეკონომიკური წარმომადგენლობების მუშაობის ორგანიზაცია;

ასეთი წარმომადგენლობები აუცილებელია. მე მიმაჩნია, რომ უნდა გვყავდეს სავაჭრო წარმომადგენლები იმ ქვეყნებში, რომელთანაც ჩვენ უკვე დავამყარეთ სტაბილური და საკმაოდ დინამიური ეკონომიკური ურთიერთობები.

ვფიქრობ მაღალი რანგის წარმომადგენლები უნდა გვყავდეს მოსკოვში, კიევში, ბაქოში, ნიუ-იორკში, ერევანში, თეირანში, ლონდონში, სტამბულში, ბონში და ა. შ.

სავაჭრო, ეკონომიკური სფეროს მაღალი რანგის წარმომადგენლები არანაკლებ გვჭირდება, ვიდრე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური წარმომადგენლები — სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩები.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის, ამ სფეროში კერძო მეწარმეობის აქტივობის ამაღლებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარებისათვის ხელშეწყობა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

ახლებურად გვესმის ჩვენ ყველა სამინისტროს, ყველა კომიტეტის, ყველა უწყების ფუნქციები, ამოცანები. არასტანდარტულად, შემოქმედებითად არის გააზრებული მათი სტრუქტურები.

დასასრულ, ერთხელ კიდევ მინდა გავუსვა ხაზი კრიზისის დაძლევის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს. რა გზას დავადგეთ, რა კურსი ავირჩიოთ?

მოგახსენებთ ძალიან მოკლედ.

ჩვენს ეკონომიკურ გარდაქმნებს საფუძვლად უნდა დავუდოთ, როგორც ზემოთ ითქვა, შერეული, მრავალსექტორიანი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკაზე შედარებით უმტკივნეულო გადასვლას და ითვალისწინებს თავისუფალი და რეგულირებადი ბაზრის და სახელმწიფო სექტორის რაციონალურ შეთანაწყობას და შეთავსებადობას.

როგორც იმ წინასწარმა გამოკვლევებმა ცხადყო, მეცნიერებათა აკადემიამ, საინჟინრო აკადემიამ და სხვა ცენტრებმა რომ ჩაატარეს, **გარდამავალ პერიოდში ძირითადად სახელმწიფომ, სახელმწიფო სექტორმა უნდა იკისროს რესპუბლიკის მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის, მოსალოდნელი შიმშილისა თუ სიცივისაგან ხსნის, ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შექმნის პრობლემის გადაჭრა. დღევანდელ ეტაპზე სხვა გზა არ არსებობს. კერძო სექტორს ჯერ ეს არ ძალუძს.**

ამდენად, სახელმწიფო თავისი ეკონომიკით, საკუთრების ყველა ფორმით, თავის თავზე იღებს ქვეყნის და ხალხის გადარჩენის ფუნქციას.

ახალმა მინისტრთა კაბინეტმა უნდა გადაწყვიტოს ფასებისა და ხელფასების, საოჯახო ბიუჯეტების შემოსავალ-გასავლის დისბალანსის პრობლემა. მთელმა მინისტრთა კაბინეტმა და არა მხოლოდ ცალკეულმა სტრუქტურებმა უნდა იზრუნონ ამ საკითხის გადასაწყვეტად.

სახელმწიფოს, ხელისუფლების ძირითადი, გადაუდებელი ამოცანაა მოსახლეობის მინიმალური სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა, სოციალური დაძაბულობის შენელება.

ეს კი ამ კრიზისულ, ჰიპერინფლაციურ ვითარებაში მოითხოვს დროებით საგანგებო, მობილიზაციური ტიპის სამეურნეო და არა მარტო სამეურნეო რეჟიმს, რომელმაც ასახვა უნდა ჰპოვოს 1993-1994 წ.წ. კონკრეტულ ეკონომიკურ ღონისძიებათა პროგრამაში. ამ დროებით რეჟიმზე ცალკე ვილაპარაკებთ სხვა დროს.

ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და განსაკუთრებით მისი შემდგომი ზრდის მთავარი სტრატეგიული რეზერვი, რასაკვირველია, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შეძლებისდაგვარად დაჩქარებაა.

როგორი სტრატეგია ავირჩიოთ ამ გზაზე?

როგორც უკვე ითქვა თავიდან უნდა ავიცილოთ ყოველგვარი რევოლუციური, დამანგრეველი, ე. წ. შოკური მოდელები და მეთოდები. რესპუბლიკის კონკრეტული სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული, ეთნო-ფსიქოლოგიური და სხვა პირობების გათვალისწინებით ლაპარაკი უნდა იყოს საბაზრო ურთიერთობებზე დაჩქარებული, მაგრამ მაინც თანდათანობითი, მართვადი, ეტაპობრივი გადასვლის უზრუნველყოფაზე.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ე. წ. ორსექტორიანი მოდელი, რომელიც კარგად არის ცნობილი მსოფლიო პრაქტიკაში. კერძოდ, საბაზრო ურთიერთობებზე მეურნეობის გადაყვანის ორსექტორიანი ტექნოლოგია თავის დროზე წარმატებით განხორციელდა იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ტაივანზე. ეს არის სოციალურად გაცილებით უკეთ დაცული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ზომიერ, სოციალურად არაფეთქებადსაშიშ, უფრო გააზრებულ, შეწონასწორებულ გადასვლას საბაზრო ურთიერთობებზე, სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებისა და წინააღმდეგობების გარეშე.

ჩვენ ბევრი დავკარგეთ ამ მხრივ, დავაგვიანეთ, მაგრამ ჯერ კიდევ არის საშუალება, რომ მართვად პროცესთან გვქონდეს საქმე.

არსებობს სხვა, როგორც ზემოთ ვთქვით, ალტერნატიული მოდელებიც. მაგალითად, ე. წ. ეკონომიკის „შოკური თერაპიის" მეთოდი.

რა თქმა უნდა, თუ გვექნება სერიოზული უცხოური ინვესტიციები, (როგორც მინიმუმი — 1,5-2 მილიარდი დოლარის რაოდენობით), ჩვენ შეგვიძლია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ე. წ. „შოკური თერაპიის" გზაც არ გამოვრიცხოთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, დიდი საინვესტიციო ინექციები იქნება საჭირო.

ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ.

როცა მე დღეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ ფორმას გთავაზობთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ მთავრობის კურსში არაფერი შეიცვლება.

გარკვეული დროის შემდეგ, თუ ქვეყანამ მიიღო სერიოზული კრედიტები უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, ჩვენ შესაბამის კორექტივებს შევიტანთ წარმოდგენილ პროექტში. დღეს კი პოლიტიკა იმაზეა აგებული, რაც რეალურად გაგვაჩნია.

ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და განსაკუთრებით მისი შემდგომი ზრდის მთავარი სტრატეგიული რეზერვი, როგორც მოგახსენეთ, ეს არის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. სხვა ალტერნატიული კურსი, გზა და რეზერვი ჩვენ არ გაგვაჩნია.

ახალი მინისტრთა კაბინეტი — ეს არის ეკონომიკური და სოციალური რეფორმების დემოკრატიული მთავრობა, იმავე დროს კანონის დიქტატურის მთავრობა.

ჩვენ უნდა შევიმუშაოთ უფრო სრულყოფილი პოლიტიკური კურსი, სტრატეგია და ტაქტიკა.

უნდა შევძლოთ ახალი კანონების დაჩქარებული ტემპებით მიღება, მინისტრთა კაბინეტის კვალიფიციური, მაღალ დონეზე მომზადებული მოღვაწეებით დაკომპლექტება, თანამედროვე ტიპის მინისტრთა კაბინეტის შექმნა.

ახალ ეკონომიკაზე გადაყვანა უნდა გავხადოთ მართვადი პროცესი. ქვეყანამ უნდა მიიღოს მაქსიმალური ეფექტი ეკონომიკის ყველა სექტორისაგან, საკუთრების ყველა ფორმისაგან, ყველა სამინისტროსა და უწყებისაგან.

უნდა შევიმუშაოთ ანტიკრიზისული, ეროვნული ხსნის პროგრამა.

მე არ ვაპირებ დღეს დეტალურად შევჩერდე ალტერნატიულ პროექტებზე.

მინდა გითხრათ, რომ ბევრი რამ ამ ალტერნატიულ პროექტებში მისაღებია. ზოგი რამ დღეს შეიძლება გამოვიყენოთ, ზოგი რამ მომავალში. ალტერნატიული პროექტების ბევრი საინტერესო იდეა გათვალისწინებულია ჩემს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში. ამას იოლად დაინახავთ თუ შეადარებთ ჩემს მიერ წარმოდგენილ პროექტს ალტერნატიულ პროექტებს. ოპოზიცია ხშირად ვერ ითვალისწინებს იმას, რომ მთავრობის, მინისტრთა კაბინეტის ფორმირება სახელმწიფოს მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის პრეროგატივაა. მადლობელი ვართ ინიციატივისათვის, მაგრამ უკეთესი იქნება თუ ჩვენ ბოლომდე გვანდობთ ჩვენი ფუნქციის შესრულებას ხელისუფლების შესახებ კონსტიტუციური კანონის საფუძველზე.

ბევრი საკითხი, შეიძლება ითქვას, ნაადრევად არის დაყენებული დღის წესრიგში. იქნებ, ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდეთ ამ საკითხებს და მაშინ გადავწყვიტოთ. ოპონენტებს აკლიათ მინისტრთა კაბინეტის ფორმირების პრაქტიკული გამოცდილება.

მე პარლამენტს ვთხოვ მხარი დაუჭიროს სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ წარმოდგენილ შეჯერებულ და დაბალანსებულ პროექტს.

დღეს გაუთავებელი დისკუსიებისა და დებატების დრო არა გვაქვს. ქვეყანაში კრიზისია, ინფლაცია მძვინვარებს. ოპერატიულად უნდა გადავწყვიტოთ მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის შეცვლისა და დაკომპლექტების საკითხი.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ გვქონდა ოპოზიციის მიერ წარმოდგენილ ალტერნატიულ პროექტებზე უფრო რადიკალური რეორგანიზაციის პროექტიც, მაგრამ ის მიუღებლად მივიჩნიეთ.

ჯერ სამისო ნიადაგი და ბაზა არ გაგვაჩნია.

მე დღეს შოკურ, კარდინალურ, ვოლუნტარისტულ გარდაქმნებს ვერ დავეთანხმები, რადგანაც გარკვეული პოლიტიკური მემკვიდრეობითობა, ავია თუ კარგია, უნდა შევინარჩუნოთ. ეს ერის მონაპოვარია, ეს ერის გამოცდილებაა, ეს განვითარების კანონზომიერებაა.

მთლიანი რეორგანიზაცია ძალიან რთული და ძნელი იქნება. ამას დასჭირდება არა ერთი და ორი წელი, ეს მომავლის საქმეა.

მე გთავაზობთ ზოგიერთი სამინისტროს გაუქმებას, ზოგიერთი სამინისტროს გაყოფას. ეს პრაქტიკულად დიდი დროის დახარჯვას არ მოითხოვს, რამეთუ ის დეპარტამენტები, რომელთა შესახებაც მე მოგახსენეთ, უკვე ფუნქციონირებენ.

საჭიროა დავეხმაროთ მათ მუშაობის გაუმჯობესებაში, გარკვეული ცვლილებების განხორციელებაში. დღეს მიუღებელია ის წინადადებები, რომლებიც ორი, სამი, ოთხი სამინისტროს შეერთებას მოითხოვენ. ასეთი რამ შეიძლება დალაგებულ და დაწყნარებულ ქვეყანაში მოხერხდეს. თანაც განვითარების სხვა ეტაპზე, ვიდრე დღეს გვაქვს.

მე არ მიმაჩნია დასაშვებად, რომ დღეს, მაგალითად, გაერთიანდეს საქართველოს მეცნიერება, კულტურა, განათლება და სპორტი ერთ სამინისტროში, როგორც ამას ალტერნატიული პროექტის ავტორები მოითხოვენ. ეს იქნება უმართავი სფერო. და მე დარწმუნებული ვარ, თუ ასეთი გადაწყვეტილება, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ მაინც მივიღეთ, 2-3 თვის შემდეგ ისევ დადგება საკითხი მისი გაუქმების შესახებ. დადგება საკითხი ცალკე გამოიყოს მეცნიერება, ცალკე კულტურა და ცალკე განათლება, კვლავ აღსდგება ძველი სტრუქტურა.

განათლების სისტემაში, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, იმდენი პრობლემა არის დაგროვებული, იმდენი საკითხია გადასაწყვეტი, ყოვლად გამორიცხულია ეს სისტემა სხვა სისტემებთან გავაერთიანოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ დარგი დავღუპოთ და ვერც ერთი საკითხი ვერ გადავწყვიტოთ. უნდა დავტოვოთ განათლების სამინისტრო. სხვა გადაწყვეტილებას ერი არ გვაპატიებს.

დღევანდელ ეტაპზე, როცა კულტურის გადარჩენის, ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, საქართველოს კულტურის სამინისტრო უსათუოდ უნდა შევინარჩუნოთ.

ამას წინათ ბატონი გიგა ლორთქიფანიძე ამბობდა, გადავხედოთ სამინისტროთა ფუნქციებს. ახალ ვითარებაში ალბათ, კულტურის სამინისტროს ფუნქციებიც უნდა შეიცვალოს. ეს სწორია, შემოქმედს, ხელოვანს, კულტურის მოღვაწეს თავისუფლება კი არ უნდა შევუზღუდოთ, არამედ, პირიქით, უნდა გავუფართოოთ ასპარეზი, შევუქმნათ შემოქმედებითი ატმოსფერო სათანადო, სოციოკულტურული გარემო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მსოფლიოში უნდა გავიტანოთ უნიკალური ქართული კულტურა.

უნდა დავეხმაროთ თეატრს, კინოს, ლიტერატურას, მუსიკას, ხელოვნების ყველა დარგს.

თუ რამე სამაყო გააჩნია ქართველ ხალხს, — ეს მისი კულტურაა. ნუ წავართმევთ მას ამ კულტურის დაცვისა და განვითარების მძლავრ მექანიზმს — კულტურის სამინისტროს, ბატონო პარლამენტარებო!

ასევე არა მგონია, რომ მეცნიერების დამოუკიდებელი დეპარტამენტის შეერთება სხვა სამინისტროსთან დღეს, როცა [illegible]ებას ჩვენ ტექნოლოგიურ ამოცანებსაც ვაკისრებთ, სწორი [illegible]

ქართული მეცნიერება ერის სიამაყეა, მისი ცივილიზაცი[illegible]

ეროვნულ მეცნიერებას ჩვენ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. ვერც სამთავრობო სტრუქტურების შემუშავების და ვერც ბიუჯეტის შედგენის დროს ამ ეტაპზე ეს დაუშვებელია. ცალკე უნდა დარჩეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

ანდა შეიძლება თუ არა, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ე. წ. კომუნიკაციების სამინისტროში გავაერთიანოთ ტრანსპორტის ყველა სახეობა (სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო), კავშირგაბმულობა და ტელევიზია! ვიმსჯელოთ. არა მგონია ასეთი პროექტები რეალური იყოს.

მე განწყობილი ვიყავი, ფინანსთა სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო შეერთებულიყო, მაგრამ ღრმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ იმდენად ზღვა სამუშაო იქნებოდა შესასრულებელი ამ ორ გაერთიანებულ სამინისტროში, მე ვერც ასეთი სამინისტროს მართვადი სტრუქტურა წარმოვიდგინე და ვერც ის პიროვნება, ვისაც შეუძლია დღეს ასეთ სამინისტროს გაუძღვეს.

შეიძლება ხვალ, ზეგ, გარკვეული დროის შემდეგ, ეს საკითხი ისევ დადგეს დღის წესრიგში, მაგრამ დღეს ეს პრობლემა ვერ გადაწყდება. ურთულესი და უძნელესი ამოცანების წინაშე დაგვაყენებს.

ამიტომ მე მინდა გთხოვთ, ბატონო დეპუტატებო, ბატონო პარლამენტარებო, რომ ჩვენ მთავრობის ისეთი სტრუქტურა შევქმნათ, რომელიც კი არ გაგვირთულებს საქმეს, რომელიც ახალ სირთულეებს, ახალ სიძნელეებს კი არ შეგვიქმნის, არამედ არსებული პრობლემების გადაჭრას გაგვიადვილებს.

რეორგანიზაცია რეორგანიზაციისათვის კი არ გვინდა. ჩვენ გვინდა რეორგანიზაცია, თუნდაც არსებულის მცირედი გაუმჯობესება, იმისათვის, რომ ეკონომიკისა და კულტურის სფერომ რეალურ სასიკეთო ძვრებსა და რეალურ სასიკეთო შედეგებს მიაღწიოს.

როგორც ვთქვი, არის ზოგიერთი ძალიან მიმზიდველი იდეა ალტერნატიულ პროექტებში.

ვფიქრობ, რომ ხვალ და ზეგ დღის წესრიგში შეიძლება დავაყენოთ ისინი. ამისათვის ნიადაგი რომ მომზადდეს, რეფორმამ გარკვეული ეტაპები უნდა გაიაროს.

თქვენი ნებართვით, მე კვლავ ვუბრუნდები ახალგაზრდობის პრობლემას. ჩვენ ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს მინისტრთა კაბინეტის ამ სტრუქტურაში თუ შევიტანთ, მე მგონი, ჩვენც მოვიგებთ და ჩვენი ქვეყანაც. დიდ საქმეს გავაკეთებთ. ახალგაზრდობას მეტი ყურადღება სჭირდება.

გუშინწინდელი დისკუსიის დროს ვთქვი და დღესაც მიმაჩნია მიზანშეწონილად გავიმეორო, რომ თანამდებობის იმ პირებმა, რომლებიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს — მინისტრებმა, კომიტეტის თავმჯდომარეებმა და სხვ. აუცილებლად, როგორც წესი, უნდა გაიარონ პარლამენტის კომისიები.

ეს საერთოდ მიღებული, საერთოდ გამართლებული დემოკრატიული, საპარლამენტო პრაქტიკაა.

მაგრამ გთხოვთ ანგარიში გაგვიწიოთ და ეს საპარლამენტო პროცედურა შემოვიღოთ მას შემდეგ, რაც ჩვენ მინისტრთა კაბინეტს დავაკომპლექტებთ.

ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ამ უახლოეს დღეებში მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება ძირითადად დავამთავროთ. დრო არ ითმენს. დიდი პრობლემებია გადასაწყვეტი. ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგას. ჩვენი ერისა და ქვეყნის ხსნის სტრატეგია და ტაქტიკა, ეროვნული უსაფრთხოების პროგრამა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეცნიერულად დასაბუთებული კურსი ოპერატიულად უნდა განვახორციელოთ.

აი, ეს არის იმ საკითხების მონახაზი, რომლის შესახებაც მე მინდოდა მომეხსენებინა პარლამენტისათვის.

დასასრულს ერთხელ კიდევ მინდა გავუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ საჭიროა ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი მინისტრთა კაბინეტი, რომლებიც აამოქმედებენ კანონს, დაამყარებენ წესრიგს, აღკვეთენ სამართალდარღვევებს, დაიცავენ ადამიანს.

კანონის დემოკრატიული დიქტატურის მისაღწევად გარკვეული, ჰუმანური თვალსაზრისით საგანგებო რეჟიმის მთავრობაა დღეს საჭირო.

ადამიანის უფლებების დასაცავად რეჟიმის დემოკრატიულ გამკაცრებაში მეტი ჰუმანიზმია, ვიდრე ფაქტობრივად დამნაშავეთა დამცავ ლიბერალიზმში.

დემოკრატია, რომელსაც თავდაცვა არ შეუძლია, ხალხს ვერ დაიცავს. არ შეიძლება ქაოსისა და ანარქიის მთავრობა დემოკრატიული მთავრობა იყოს. დემოკრატია პირველ რიგში ეს წესრიგი და კანონიერებაა.

არ შეიძლება უსამართლობას ითმენდეს სოციალური სამართლიანობის მთავრობა.

ჩვენი ახალი მინისტრთა კაბინეტი კი სწორედ სოციალური სამართლიანობის მთავრობა უნდა იყოს.

[illegible]

სენაკი. „იბერიის" კორესპონდენტი დღეს დაუკავშირდა ქ. სენაკის (კომენდანტს), ექსტრემისტების მიმართ ერთ-ერთი ქართული არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელს აკ. ელიავას, რომელმაც განაცხადა, რომ მისადმი დაქვემდებარებული შეიარაღებული ფორმირების (წევრთა უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრებია, ამიტომაც მოსახლეობა მათ შესვლას სენაკში სიხარულით შეხვდა). ე. წ. პრეზიდენტის გვარდიის მებრძოლებმა ტყვედ აიყვანეს გენერალი ხუცურიძე, რომელსაც, აკ. ელიავას თქმით, მართალია, სამეგრელოში ბევრი სისხლი დაღვარა, მაგრამ მისთვის არ მიუყენებიათ არც ფიზიკური და არც მორალური შეურაცხყოფა, ხოლო როდესაც გენერალი გაათავისუფლეს, მან განაცხადა, რომ სამეგრელოში ის ჩავა მხოლოდ როგორც რიგითი მოქალაქე.

აკ. ელიავამ აგრეთვე აღნიშნა, რომ დღეისდღეობით სენაკში სიმშვიდეა. რაიონის შესასვლელებს აკონტროლებენ მისადმი დაქვემდებარებული ფორმირებების მებრძოლები, სამტრედიის საავტომობილო მაგისტრალს აკონტროლებს „მხედრიონი", ხოლო ფოთისას — საქართველოს შეიარაღებული ძალები. აკ. ელიავამ განაცხადა, რომ მოსალაპარაკებლად მათთან არავინ მისულა და არც რაიმე ულტიმატუმი წაუყენებიათ. მისი თქმით, თუ ქალაქში მათთან მოსალაპარაკებლად შესვლას ე. წ. ოქტომბრის [illegible] წარმომადგენელი, ან საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი, მისი ბრძანებით ყაზარმულ მდგომარეობაში გადავა სენაკში მყოფი ყველა შეიარაღებული ფორმირება (აკ. ელიავამ აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება „მხედრიონთან" რაიმე მოლაპარაკებას, რადგანაც „მხედრიონმა" სამეგრელოში „დიდი სისხლი დაღვარა").

დასასრულს აკ. ელიავამ განაცხადა, რომ მისი ძირითადი მიზანია ე. წ. კანონიერი ხელისუფლების აღდგენა საქართველოში. იგი თავის სამხედრო ვალს პირნათლად მოიხდის, ხოლო მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება მისი უშუალო მეთაურის — საქართველოს ე. წ. პრეზიდენტის გვარდიის მთავარსარდლის ვახტანგ ქობალიას კომპეტენციაა.

დღეს, 1 სექტემბერს, სენაკში გამოცხადდა კომენდანტის საათი.

თბილისი. „იბერიის" კორესპონდენტთან საუბრისას სახმელეთო ძალების მეხამე ბატალიონის შტაბის უფროსმა პაატა თოდრიშვილმა განაცხადა, რომ აღრიცხულია ცნობილი სოფლებიდან ქართველი მოსახლეობის მძევლად აყვანის ფაქტები. ისინი ექსტრემისტების დაკავებული მოსახლეობის გამოსახსნელად მოითხოვენ გამოსასყიდს. აღსანიშნავია, რომ არცერთი ფაქტი არ გამოძიებულა.

თბილისი. ოსურ-ქართული ჯგუფების მოსახლეობას მოსავლის აღების საერთო მიზანი უდევს. კონფლიქტის ზონაში სამეურნეო სამუშაოების ჩატარება, ურთიერთგაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, [illegible] ხდება.

თბილისი. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრიდან „იბერიის" კორესპონდენტს აცნობეს, რომ 8 სექტემბერს თბილისის ფოტოგრაფთა საზოგადოება კომიტეტი აწყობს ერთდღიან გამოფენას. მათი მოთხოვნაა [illegible] ფოტო-ხელოვნების კულტურისა და ხელოვნების ობიექტად დაუბრუნონ [illegible] მფლობელებს.

ზუგდიდი. „იბერიის"-ს კორესპონდენტმა ზუგდიდიდან მოგვაწოდა საქართველოს რესპუბლიკის ე. წ. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის მესამე საგანგებო სესიის მორიგი სხდომის დანიშვნის შესახებ. მასში აღნიშნულია:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: მოწვეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგი სესია ქ. ზუგდიდში 1993 წ. 3 სექტემბერს 10.00 საათზე. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე".

დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის ე. წ. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

პედაგოგიური სიბრძნის აკადემია

დამაარსებელი და ხელმძღვანელია აკადემიკოსი
შალვა ამონაშვილი

სასწავლებლად ვიწვევთ ახალგაზრდებს, ვისაც მასწავლებლობა საკუთარ მოწოდებად მიაჩნია და სურს დაეუფლოს უმაღლეს პედაგოგიურ ხელოვნებას.

მუშაობა სტუდენტებთან ინდივიდუალიზირებულია: სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთი ან ორი პედაგოგიური სპეციალობა, ენიშნება მეცნიერი ხელმძღვანელი, მუშაობს პირადი სასწავლო გეგმის შესაბამისად. სწავლის ხანგრძლივობა ხუთი წელია, მაგრამ სტუდენტს შეუძლია ვადამდე დაასრულოს აკადემიის სრული კურსი.

საბუთები მიიღება 20 სექტემბრამდე. ჩარიცხვა — გასაუბრების საფუძველზე. სწავლა დაიწყება 22 სექტემბერს.

ცნობებისათვის დარეკეთ:
93-32-[illegible], 30-21-23 (დილის ან საღამოს საათებში), 38-90-44,
38-44-[illegible] (12 საათიდან 15 საათამდე). მისამართი: თბილისი,
[illegible]ირმის ქ.№ 84, 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა.

მოსწავლეთა და აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო კოლეჯი აცხადებს მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფილებზე: ჰუმანიტარული, ქიმია-ბიოლოგიური (სამედიცინო), ფიზიკა-მათემატიკური, ეკონომიკური და ტექნიკური. IX და X კლასის მოსწავლეები შეისწავლიან მხოლოდ იმ საგნებს, რომლებიც მათ მიერ არჩეულ პროფილს შეესაბამება. XI კლასის მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პროგრამის მიხედვით შეისწავლიან მხოლოდ იმ საგნებს, რომლებიც მათ უნდა ჩააბარონ შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში. კოლეჯში აბიტურიენტების მოსამზადებლად იქმნება მცირერიცხოვანი ჯგუფები. სასწავლო პროცესს წარმართავენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სწავლა ფასიანია. ჩარიცხვა ხდება გასაუბრების შედეგად. საბუთების მიღება იწარმოებს 1 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე 14 სთ-დან 17 სთ-მდე, კვირა დღის გარდა. გასაუბრება ჩატარდება 25 სექტემბერს, ჩარიცხვა 26 სექტემბერს. კოლეჯში სწავლა დაიწყება 4 ოქტომბერს. სწავლა იწარმოებს დღის მეორე ნახევარში. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კოლეჯის დირექციას.

კოლეჯის მისამართია:
თბილისი წურწუმიას ქ.№ 16, 88-ე საშუალო
სკოლის შენობა, მეტრო სადგური „ავლაბარი".
ტელეფონი:74-29-55.

მამაკაცთა საყურადღებოდ!

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობას.

თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი, მოგვმართეთ.

ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები და მკურნალობის კომპლექსურობა საშუალებას იძლევა მაღალშედეგიანად ვუმკურნალოთ პროსტატიტს, იმპოტენციას (მამაკაცის სქესობრივი უძლურება) გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკის მიუხედავად.

მკურნალობა ანონიმურია.

ჩვენი მისამართია:
ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის ქუჩა)
ჩიხი № 3 I სართული. (მეტრო „დელისთან",
ყოფილი მე-18 პოლიკლინიკა)
ტელ: 39-25-82.
მიღება სამუშაო დღეებში 16-30 სთ-დან 18 სთ-მდე.
შაბათ-კვირას 10 სთ-დან 12 სთ-მდე.
ფირმა „კონტაქტი"-ს სამედიცინო კაბინეტი.

მადლობა რკინიგზელებს

ახლახან ზედიზედ ორჯერ მომიწია თბილისიდან ბათუმში მატარებლით გამგზავრება. ერთ ვაგონში მოვხვდი ორივეჯერ და მოწმე გავხდი ვაგონის გამცილებლების საოცარი გულისხმიერებისა და ზრდილობისა. ესენი არიან: რამაზ ქობულაძე, დათო ბოლქვაძე, ჯუმბერ ლომიძე, ჯემალ მახარაძე. ეს შესანიშნავი ვაჟკაცები მგზავრებთან ურთიერთობაში გამოვლენილი ყურადღებისა და სიკეთისათვის უდავოდ იმსახურებენ, რომ საჯაროდ გადავუხადოთ მადლობა.

პატივისცემით,

შადიმან ბიწაძე,
სერვანტესის საზოგადოების თავმჯდომარე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას ამა წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად.

პრემიები დაწესებულია: 1. ლიტერატურის, 2. მუსიკის, 3. თეატრის, 4. სახვითი ხელოვნების, 5. კინო-ტელევიზიის, 6. პუბლიცისტიკისა და 7. საყმაწვილო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში.

საკონკურსოდ მიიღება ნამუშევრები, რომლებიც დასრულებული სახით გამოქვეყნებულია (ნაჩვენებია, აგებულია, შესრულებულია) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 1993 წლის პირველ სექტემბრამდე.

წარდგენილთა მიღების უკანასკნელი ვადაა 30 სექტემბერი. ლაურეატობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ, ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე, პრესა და ტელევიზია ფართოდ გააშუქებს პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნამუშევრებს, ხოლო კონკურსში გამარჯვებულთა სია საახალწლოდ გამოცხადდება.

სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად ნაწარმოებთა შერჩევისა და წარდგენის კომპეტენცია, პირველ ყოვლისა, ეკუთვნით შემოქმედებით კავშირებს და სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებს — გამომცემლობებს, რედაქციებს, თეატრებს, აგრეთვე კულტურის სამინისტროს, სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სტრუქტურებს, მშრომელთა კოლექტივებს წარმოება-დაწესებულებებში. კომიტეტი ყურადღებით დაუგდებს ყურს მოქალაქეთა ჯგუფებისა თუ ცალკეულ პიროვნებათა მიერ გამოთქმულ აზრს და მათ მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებსაც განიხილავს.

კომიტეტი სთხოვს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივებს, შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებს, განსაკუთრებული მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ კანდიდატურების შერჩევას, საკონკურსოდ წარმოადგინონ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის მხოლოდ ის ნაწარმოებნი, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებაში; წარდგინება უნდა წყდებოდეს ნაწარმოებთა მხატვრული დონისადმი დიდი მომთხოვნელობისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია განაცხადოს, რომ კონკურსის პირობები საკმაოდ მკაცრია და არ იძლევა იოლი გამარჯვების შანსს. კომიტეტი, რომელიც ქართული შემოქმედებითი ძალების მრავალი ათეული გამოჩენილი წარმომადგენლისაგან შედგება, პრემიებს ანიჭებს ფარული კენჭისყრით და არა უბრალოდ ხმის უმრავლესობით, არამედ კენჭისყრელთა ხმების სამი მეოთხედის მოპოვებით. მართალია, კენჭისყრა ორ ეტაპადაა დაწესებული (მეორე ეტაპზე დაიშვებიან კანდიდატები, რომლებმაც პირველ ეტაპზე ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ ხმების ნახევარზე მეტი მაინც მოაგროვეს), ოღონდ აქაც, ამ მეორე ეტაპზეც, კენჭისყრელთა ხმების იგივე სამი მეოთხედია მოსაპოვებელი.

სახელმწიფო პრემიების კომიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ შერჩეულ კანდიდატურასთან დაკავშირებით:

1. **წარდგინება**, ანუ კვალიფიციური ლიტმცოდნეობითი (ხელოვნებათმცოდნეობითი, მუსიკათმცოდნეობითი, თეატრმცოდნეობითი...) დახასიათება ნაწარმოებისა, რომლის გამოც ვადგენთ მის ავტორს სახელმწიფო პრემიაზე. ამ დოკუმენტს ორგანიზაციის სახელით ხელს აწერს მისი ხელმძღვანელი.
2. მეორე აუცილებელი დოკუმენტია პრემიაზე წარმდგენი ორგანიზაციის პრეზიდიუმის, კოლეგიის თუ სამხატვრო საბჭოს **სხდომის ოქმის ამონაწერი** გამოთქმულ შეფასებათა ციტირებით.
3. პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები წარსადგენი ნაწარმოების შესახებ.
4. კანდიდატის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია.
5. კადრების აღრიცხვის ფურცელი.
6. ლიტერატურული ნაწარმოები — 10 ეგზემპლარად, დანარჩენ დარგებში — საჭირო ფოტომასალა ნაწარმოებზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად.
7. ორ-ორი ფოტოსურათი კანდიდატისა (3X4 და 6X9 სმ.)

ავტორთა კოლექტივების წარდგენისას წესდებით დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს ექვსი კაცისა.

ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, მაჩაბლის 13, მე-3 სართული, ტელეფონი 99-06-36.

ქეთევან არახამიას შთამბეჭდავი გამარჯვება

ამას წინათ თბილისში დაბრუნდნენ ქალაქ ჯაკარტაში გამართული ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის ქართველი მონაწილენი. როგორც აცით, ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ქეთევან არახამიამ, მესამე — მაია ჩიბურდანიძემ და ორივემ პრეტენდენტთა ტურნირის საგზურები მოიპოვა.

ტურნირში 17 დიდოსტატი და 22 საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. ეს იყო მეორე შემთხვევა, როცა მსგავსი შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 13 ტურად მოეწყო.

მონაწილენი ჰყვებიან, რომ ინდონეზიის ჭადრაკის მესვეურებმა მათ თამაშისა და დასვენების შესანიშნავი პირობები შეუქმნეს. ცხოვრობდნენ ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „შაპიდჯაიში" და იქვე თამაშობდნენ ვრცელ დარბაზში.

თავიდან ცნობილი იყო, რომ თამაშდებოდა პრეტენდენტთა ტურნირის 6 საგზური, მაგრამ სტარტის წინ გამოცხადდა, რომ არის მეშვიდე საგზურიც. იგი უნგრელმა დიდოსტატმა ჟუჟა პოლგარმა დათმო. მან უარი განაცხადა მონაწილეობაზე პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში, რომელშიც თამაშის პერსონალური უფლება ჰქონდა, როგორც წინა მსგავს შეჯიბრებაში გამარჯვებულს. ცხადია, მეშვიდე საგზურმა სიმძაფრე შემატა ისედაც დაძაბულ სპორტულ პაექრობას.

ქართველი მოჭადრაკეები თავიდანვე ჩაებნენ ლიდერობისთვის ბრძოლაში. 5 ტურის შემდეგ 4-4 ქულა ჰქონდათ ჩიბურდანიძეს, არახამიას და ალისა გალიამოვას (უკრაინა). 7 ტურის შემდეგ ლიდერობდნენ ჩიბურდანიძე და არახამია — 5,5-5,5. ამ დღეს მაიამ დაამარცხა გალიამოვა, ხოლო ქეთევანმა — სვეტლანა მატვეევა (რუსეთი). მე-9 ტურში ჩიბურდანიძე მოულოდნელად დამარცხდა ალისა მარიჩთან (იუგოსლავია) და 10 ტურის შემდეგ წინ იყვნენ არახამია და მარიჩი — 7,5-7,5. 12 ტურის შემდეგ, ესე იგი დასკვნითი, მე-13 ტურის წინ მხოლოდ არახამიას ჰქონდა განაღდებული პრეტენდენტის საგზური, რასაც ხელი შეუწყო მე-11 ტურში ლიდია სემიონოვასთან (უკრაინა) ლამაზმა გამარჯვებამ.

ჭადრაკი

დანარჩენ 6 საგზურზე 8 მოჭადრაკეს ეჭირა თვალი. ბოლო დღეს არახამია და ჩიბურდანიძე ყაიმს დასჯერდნენ, რაც საკმარისი იყო საპრიზო ადგილისთვის. საბოლოოდ ტურნირში ადგილები ასე განაწილდა (თანაბარი ქულების მქონეთა ადგილები კოეფიციენტთა ცხრილით გაირკვა): 1. არახამია 9,5 ქულა, 2. გალიამოვა 9, 3. ჩიბურდანიძე 8,5, 4. ზაოგინ პენგი (ჩინეთი) 8,5, 5. ალისა მარიჩი 8,5 6. პია კრამლინგი (შვეცია) 8, 7. ქრისტინა ფოიშორი (რუმინეთი) 8. ამდენივე ქულა დააგროვა აინურ სოფიევამ (აზერბაიჯანი), მაგრამ მერვე ადგილზე დარჩა.

შესანიშნავად იბრძოლა ქეთევან არახამიამ. მან დაუმარცხებლად განვლო მთელი შეჯიბრება (მოიგო 6 პარტია, 7 ყაიმით დაასრულა). ჩანს, დიდია მისი შემოქმედებითი პოტენციალი. მართალია, მან ერთხელ უკვე ითამაშა პრეტენდენტთა ტურნირში (1988 წ.), მაგრამ ამჯერად წარმატებას უნდა ველოდოთ.

ენერგიულად და ლაღად თამაშობდა მაია ჩიბურდანიძე, რომელმაც დამაჯერებლად მოუგო პრინციპული შეხვედრები კრამლინგს, გალიამოვას და ფოიშორს. საერთოდ, მაიამ ხუთი მეტოქე დაამარცხა, შვიდს დაუზავდა და მხოლოდ ერთი პარტია წააგო. ჯაკარტის ტურნირმაც ცხადყო, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონის შემოქმედებითი შესაძლებლობები ჯერ არ ამოწურულა. კიდევ ვიხილავთ მაიას ახალ თვალსაჩინო მიღწევებს!

სტარტზე მცირე შეფერხების მიუხედავად ნინო გურიელი 5,5 ქულით 8 ტურის შემდეგ კვალში მიჰყვებოდა ლიდერებს, მაგრამ მე-9 ტურში დამარცხდა გალიამოვასთან. ამან ისე ააღელვა იგი, რომ მეორე დღეს პენგთანაც წააგო და პრეტენდენტებში მოხვედრა სათუო გახდა. ნინო ოპტიმისტურად განაგრძობდა ბრძოლას, მაგრამ ემოციები უშლიდა ხელს. დარჩენილ სამ პარტიაში მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა. დასკვნით ტურში წააგო ვან პინთან (ჩინეთი) და 7 ქულით მე-12 ადგილი დაიკავა.

ტურნირის ახალბედა, 17 წლის ნინო ხურციძე, 6,5 ქულით მე-20 ადგილზე დარჩა. მან 4 პარტია მოიგო, ამდენივე წააგო და 5 ყაიმით დაამთავრა. ნინომ ჩინებული პარტიები მოუგო ტატიანა შუმიაკინასა და ირინა კულიშს (ორივე — რუსეთი). მთავარი ისაა, რომ ნიჭიერმა ოსტატმა ძვირფასი გამოცდილება შეიძინა.

პრეტენდენტთა ტურნირი გაისად გაიმართება, მაგრამ როდის და სად, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ამ შეჯიბრების მერვე მონაწილე იქნება სე ცზიუნ-ნანა იოსელიანის მატჩში დამარცხებული მოჭადრაკე. ეს მატჩი, როგორც ცნობილია, წლეულს 24 ოქტომბრიდან გაიმართება ქალაქ მონტე-კარლოში (მონაკო).

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

[illegible]

გრიგოლ მარგიანი

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების გამგე, პროფესორი გრიგოლ ნიკოლოზის ძე მარგიანი.

დიდია ბატონი გრიგოლის, ერუდირებული მეცნიერ-მკვლევარის წვლილი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა მოსკოვში, სახელგანთქმული მეცნიერების ტარლეს, იერუსალიმსკის, მანფრედის და სხვათა ხელმძღვანელობით. ფართო იყო განსვენებულის მეცნიერული ინტერესების თვალსაწიერი, გარდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ახალი პერიოდის პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული ფუნდამენტური მონოგრაფიების, მეცნიერულად მაღალ დონეზე შესრულებული სტატიებისა, მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი შრომები გერმანისტიკაში, ისტორიოგრაფიის ზოგადთეორიულ საკითხებზე, გამოქვეყნებული აქვს 100-მდე მეცნიერული შრომა, ბოლო პერიოდში ინტენსიურად მუშაობდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ეტაპის — 1832 წლის შეთქმულების ახლებურად (მეცნიერული გააზრების თვალსაზრისით) გასაშუქებლად, კითხულობდა ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მან მრავალი მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის აღზრდაში მიიღო მონაწილეობა.

ბატონი გრიგოლი მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი გახლდათ. წლების მანძილზე სათავეში უდგა, უნარიანად, მეცნიერული პრინციპულობით, ამავე დროს დიდი ტაქტით, კეთილგანწყობით წარმართავდა ინსტიტუტთან არსებული ისტორიის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას.

სვანეთის ლაღი ბუნების შვილი, სიკეთის მთესველი პიროვნება გახლდათ. გულანთებული მამულიშვილი მარად სამშობლოს, ქართველი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე იდგა და პროფესიონალი ისტორიკოსის პოზიციიდან შეუცდომლად ირჩევდა სწორ მოქალაქეობრივ პოზიციას.

პროფესორ გრიგოლ მარგიანის მოულოდნელი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული საზოგადოებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; საქართველოს საისტორიო საზოგადოება; ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

დიდად სამწუხაროა

სამწუხაროა, რომ გრიგოლ მარგიანზე უკვე წარსული დროით გვიხდება ლაპარაკი. დასანანია ერისთვის ეგზომ საჭირო მოღვაწის დაკარგვა. ის დააკლდა ერსა და სამეცნიერო დაწესებულებას, ისტორიის ინსტიტუტს, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. მეგობართა მრავალრიცხოვან წრეს. თითქოს მხარგამტეხილი მუხა დაეცა და აქოჩრილ ტყეში დიდი სიცარიელე დატოვა. ვინ შეავსებს ამ ადგილს? საქართველოს ძნელბედობის ჟამს, როცა ერის ყოფნა-არყოფნა სასწორზე დევს ჩვენ გამორჩევით გვენანება ყოველი წესიერი ქართველი, მით უმეტეს ისეთი კაცი, რომელიც სვანური მურყვამივით მტკიცედ დგას და სიტყვით თუ საქმით იცავს ხალხის ინტერესებს.

მულახის მთებში შობილი, მოსკოვსა და თბილისში განსწავლული, ენერგიით აღსავსე გრიგოლი ხშირად დადიოდა მშობლიურ სვანეთში და ყოველი მისი ჩასვლა იყო საქმიანი, საჭირო, მრავალთა გამხარებელი.

ის აღარ არის, ვეღარ შეხვდება თეთნულდს და შხარას, ვეღარ შევხვდებით გაღიმებულს, მაგრამ გულს არ გავიტეხთ. მისი სიცოცხლე სიკეთის მაგალითად დარჩება.

აკაკი გელოვანი.

„ლემის" ნაფიცთა საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა „ლემის" პრეზიდიუმის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ მარგიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან არსებული ინგლისური ენის მასწავლებელთა ცენტრი

აცხადებს მიღებას:

1. მასწავლებელთა მოსამზადებელ კოლეჯში, ენობრივი მომზადების საშუალო დონის მქონე უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთათვის (სწავლების ხანგრძლივობა 3,5 წელი).
2. ბავშვთა სკოლაში. სკოლის I-VI საფეხურებზე მიიღებიან 8-16 წწ. ასაკის ბავშვები, მომზადების დონის შესაბამისად.
3. ზოგადი პროფილის ინტენსიური სწავლების მოზრდილთათვის განკუთვნილ ჯგუფში (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე).
4. კემბრიჯის პირველი სერტიფიკატის საგამოცდო ჯგუფში, ენობრივი მომზადების საშუალოზე მაღალი დონის მქონე პირთათვის (სწავლის ხანგრძლივობა 11 კვირა).

ჯგუფებს ამეცადინებენ ინგლისური ენის სწავლების საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე მასწავლებლები. მიღება იწარმოებს ტესტირების საფუძველზე. სწავლება ფასიანია.

მსურველებმა განცხადებებთან ერთად უნდა წარმოადგინონ განათლების მოწმობა და ცნობა სასწავლებლიდან თუ სამუშაო ადგილიდან და 2 ფოტოსურათი.

საბუთები მიიღება 6-დან 13 სექტემბრამდე, 15-დან 18 სთ-მდე.

მისამართი:
ი.ჭავჭავაძის გამზირი, 38. (55-ე საშუალო
სკოლის შენობა) ტელ. 29-08-37, 22-31-28.

ვყიდი

საკუთარ სახლს ჭიათურაში, ეზოთი, ვენახის მაღით, ტელეფონით

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ. სახლ.74-52-65 საღამოს 6 სთ-დან, სამს. 93-22-03 დილის 11 სთ-დან. ჭიათურაში. 5-55-92 ლია.

აგვისტო ჩვენი მღელვარებისა
და მაინც ვერ დააჩოქებენ საქართველოს

ჩაიარა [illegible] სიცხიანმა აგვისტომ. აფხაზეთში დამთავრდა ომი, დაშლილი ჯარი თბილისს შეესია, გაძლიერდა შიმშილობა, კიდევ უფრო გაძვირდა ცხოვრება, სიცოცხლის ხალისი დაკარგულნი „დიდნი"... შემოდგომამ ფერისცვალების, ქორწილებისა და დღეობების დროა. საქართველოში კი აურზაური გახდა ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირებების სიჯიუტე, მათი ატამანების განცხადება — მთელ საქართველოში აღდგენილია კანონიერი ხელისუფლება, [illegible] მათი.

ის დაეცემა და ბაგრატის სულში ჩაფურთხებაა, ჯვლათის დანგრევაა, მეორედ მოსვლაა...

პარადოქსების ქვეყანაში პარადოქსულად გაძნელდა ბევრი რამის დაჯერება —

მშიერი კაცი სხვის ყანაში რომ შეიპარება და კარტოფილს ამოთხრის, შეიძლება არ გაგიკვირდეს, მაგრამ ამ კარტოფილისათვის კაცს მოსაკლავად რომ გაიმეტებს, საკვირველია.

მუქთ ცხოვრებას დახარბებული ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურე დღისით, მზისით, ქვეყნისათვის თვალში ნაცრის შესაყრელად, ვითომ წესრიგის დასამყარებლად იარაღით ხელში შარაგზაზე რომ გამოვა, — კიდევ მესმის, მაგრამ ამ იარაღს უდანაშაულო თანამემამულის მოსაკლავად რომ გამოიყენებს, — არ მესმის.

გახსოვთ, რა განგაში ატეხეს, იმ ავადმოსაგონარ 9 აპრილს, საღამოს, საკომენდანტო რეჟიმის დარღვევისათვის ზურგიდან მეხანძრეების ავტომანქანა რომ დაცხრილეს საბჭოთა ჯარისკაცებმა. ახლა, თითქმის ყოველდღე ტირიან თანამემამულისაგან ასეთივე წესით მოკლული თანამემამულის დედები, ერი კი რატომღაც დუმს.

გორის რაიონში, კარალეთის გზაზე ოთხი სამხედრო-ფორმიანი შეიარაღებული პიროვნება [illegible] რეიდს ატარებდა. ერთ-ერთ ავტომანქანას, რომელიც ჩერების ნიშანს არ დაემორჩილა, მორიგეებმა ესროლეს. ერთი ახალგაზრდა კაცი დაიღუპა. სხვა მსგავს შემთხვევაში, მსგავსი წესით, კინაღამ პატარა გოგონა მოკლეს.

ხშირად მწარედ ხუმრობენ: ამერიკის შეერთებულ შტატებს ერაყის დასაჩოქებლად არ დაუკარგავს იმდენი ჯარისკაცი, რამდენი ქართველსაც ეკარგება ყოველდღიურადო. ვაი, რომ ეს მეტად მწარე სიმართლეა. აგვისტოს მეორე ნახევარში მკვლელობათა რაოდენობა პირველთან შედარებით დიდად არ შემცირებულა: 68 ტრაგიკული შემთხვევა იყო.

სიცოცხლის გაუფასურებასთან ერთად, გამარტივდა მკვლელობათა მექანიკა. რა მიზეზით კლავენ დღეს ადამიანები ერთმანეთს? — გადაბრუნებული სიტყვის გამო, ნადავლის განაწილების დროს, ყაჩაღურად თავდასხმისას, ყოფითი მიზეზების გამო...

საშინელი ტრაგედია დატრიალდა ხულოს რაიონში. საკარმიდამო მიწის გაყოფის გამო ატეხილი დავა მკვლელობათა მთელი სერიით დასრულდა. 34 წლის კაცმა მამის წაქეზებით საკუთარი ბიძა მოკლა, ამ უკანასკნელის მეუღლემ კი ნაჯახის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა მკვლელიც და წამქეზებელიც... ხულოს მცირემიწიანი რაიონია. აქ თითოეულ გოჯს ოქროს ფასი აქვს, ამიტომ, იშვიათობას როდი წარმოადგენს მსგავსი დავა, კამათი, ძალიან ხშირად სისხლით ნათესავების მკვლელობით რომ მთავრდება. ასეთი შემთხვევები საქართველოს სხვა რაიონებშიც მომრავლდა. რა დასამალია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მიწის ცივილიზებული განაწილება. თვითდინებაზე მიშვებული პრივატიზაციის პროცესი ნელ-ნელა უმართავი გახდა. ხალხი შეესია [illegible] საკარმიდამოებს, მიიტაცა, ჩაიგდო და ამით გაათავა საქმე.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

იმის მაგივრად, რომ თანამედროვე დასავლური ტიპის ფერმერული მეურნეობების მოწყობაში დაეხმარონ, რეფორმით მოსახლეობას, ნატურალური მეურნეობის ჭაობში შეეტოპა ის, საიდანაც ძალიან გაჭირდება ამოსვლა. მამაპაპურად, თოხით და ბარით ვერ დაამუშავა ხალხმა მიწა. მერეც სოციალისტური მიწათმოქმედების დროს ამორტიზებული სავარგულები მეტად არაპროდუქტიული აღმოჩნდა. ასე დარჩა მშიერი გლეხიც და მისი პატრონიც. დასანანია, რომ ჰუმანური დახმარების იმედით კიდევ ერთ ზამთარს იქნება ჩვენი ბიჭები და მარჯვენები ქარის საბოდინოდ.

ამიტომ, დანაშაულის მოძალებაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობიდან მისი გამომწვევი მიზეზებიც არ უნდა გამოგვრჩეს. ნათქვამია, ბუქი ქარის გარეშე არ არსებობსო.

• • •

დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა აგვისტოში 54 პროცენტს მიაღწია, თუ ეს ნამდვილი ციფრია, რატომ არ შეიმჩნევა კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესება? — გაიკვირვებს მკითხველი. ჩვენში დამნაშავეობამ ბირთვული რეაქციის თვისებები შეიძინა. რეაქტორი, მორჩა, ასე რომ, ერთი დამნაშავის დასჯა დანაშაულის პროფილაქტიკის ფუნქციას აღარ ასრულებს. დამნაშავეობა თითქოს პროფესიად იქცა. ეს ძალიან საშიში პროცესია და ამ მდგომარეობიდან, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: სახელმწიფომ მინიმალური საარსებო პირობებით მაინც უნდა უზრუნველყოს თავისი მოქალაქე, დაასაქმოს და ასწავლოს, რომ დღიური სარჩო-საბადებელი იარაღით კი არა, ალალი შრომით უნდა იშოვოს.

• • •

ქართველი კაცი ოდითგანვე გამოირჩეოდა ქალისადმი პატივისცემით. ახლა ეს ფენომენიც დაიკარგა. სექსუალური მანიაკები მომრავლდნენ. ერთი საქმეა დასავლური ეროტიკული თუ პორნოფილმებით გატაცება, მეორე კი, ამ ფილმების ყაიდით ცხოვრება. 16 გაუპატიურების შემთხვევა დაფიქსირდა აგვისტოში! ადრე, თითქოს, მკაცრად ისჯებოდა ეს დანაშაული, ახლა რატომღაც ლოიალურნი გავხდით. რა სასჯელი შეიძლება შეუფარდო მანიაკს, რომელმაც რვა წლის გოგონას ნამუსი ახადა და თან ვენერიული სენი შეჰყარა! ვერც ის ახალგაზრდები უნდა დაუძვრნენ მართლმსაჯულების მარწუხებს, 13 წლის გოგონას ჯგუფურად, მხეცურად რომ მიაწებეს „ჩიქილახდილი ქალის" იარლიყი.

• • •

ქალაქიდან ნაგვის გასატანად სამყოფი საწვავ-საცხები მასალები არა აქვს ქვეყანას, თუმცა, საქმოსნებს ეს სულაც არ ანაღვლებთ.

დიდი ხანია, ცნობილია, რომ სიმწირით ნაშოვნი საწვავი სომხეთის რესპუბლიკაში გადის. ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა ამის შესახებ, მაგრამ საწვავის გამტანები თითქოს უჩინმაჩინის საიდუმლოებას ფლობენო, შეუმჩნეველი, დაუსჯელი რჩებოდნენ. ახლა ცოტათი დაედგა საქმეს თავი. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველო ჩამოყალიბდა. სასიამოვნოა, რომ სამმართველოს ხელმძღვანელობა, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტით დაინტერესდა და რაღაც შედეგიც უკვე მიიღო. 26 აგვისტოს, ქალაქ მარნეულში, დააკავეს რამდენიმე ბენზინითა და დიზელის საწვავით დატვირთული, სომხეთში გასასვლელად მომზადებული ავტომანქანა.

იმავე დღეს, აქვე დააკავეს თბილისის მესამე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ორი „იკარუსი", რომელთა მგზავრებს თურქეთში გაჰქონდათ დიდი რაოდენობით ფერადი ლითონი.

ამ ბოლო დროს, ქვემო ქართლი დივერსიების, კონტრაბანდისა და კიდევ ათასი სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ცენტრად იქცა, არადა, ამ რეგიონს განსაკუთრებული წესრიგი და სიმშვიდე სჭირდება.

რეგიონული სამმართველოების ჩამოყალიბება შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი სისტემის სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაციის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ამდენად, რეფორმის წარმატება ამ სამმართველოების ეფექტიან მუშაობაზე იქნება სწორედ დამოკიდებული.

საქართველოს მტრებმა კიდევ ერთხელ შეაფერხეს ერის გამთლიანებისათვის წამოწყებული საქმე. ყველაზე ძნელი საკუთარი თავის მორევა ყოფილა. ქართველი კაცი უნდა მოერიოს თავის სისუსტეებს, ამბიციებს, ძვალ-რბილში გამჯდარ [illegible] სინდრომს... კრიმინალური ქრონიკა ჩვენი ცხოვრების სარკეა. ის უტყუარი ბარომეტრია ჩვენი უბედობისა, განუკითხაობისა, ქაოსისა. ასეა თუ ისე, მომავალი მაინც შენებას და გონიერებას ეკუთვნის. ამის იმედით, ცხოვრობს დღეს ყველა პატიოსანი მოქალაქე.

ზაურ მაკარაძე.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, კოსტავას 14.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА